საკდესის ცნობა
საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის შესანიშნავი წარმატება

ცოცხალი არსებანი ისტორიაში პირველად დაბრუნდნენ კოსმოსიდან დედამიწაზე

ერთი დღეღამისათვის გათვალისწინებული კვლევის პროგრამის დასრულების, ცხოველთა სასიცოცხლო მოქმედების და თანამგზავრი ხომალდის ბორტული სისტემის მოქმედების მონაცემების მიღების შემდეგ გაცემულ იქნა ბრძანება ორბიტიდან მის დასაშვებად.

ბრძანება გაცემულია მეთვრამეტე შემოვლაზე.

თანამგზავრი ხომალდის სამართავი სისტემა და სამუხრუჭო დანადგარი მუშაობდნენ მაღალი სიზუსტით და უზრუნველყვეს ხომალდის დაშვება მოცემულ რაიონში. დაშვების წერტილის გადახრამ წინასწარ გაანგარიშებულისაგან შეადგინა ათ კილომეტრამდე.

თანამგზავრმა ხომალდმა, რომელიც 4.600 კილოგრამს იწონის (მატარებელი რაკეტის უკანასკნელი საფეხურის წონის გარდა), და რომელსაც აქვს სპეციალური სითბური საფარი, წარმატებით გაიარა დედამიწის ატმოსფერო.

თანამგზავრი ხომალდი და მისგან გამოცალკევებული კაფსული საცდელ ცხოველებიანად დედამიწაზე მშვიდობიანად დაეშვნენ.

თვითმფრინავებმა და ვერტმფრენებმა დაშვების ადგილზე მიიყვანეს სამედიცინო და ტექნიკური პერსონალი.

ყველა საცდელი ცხოველი, მათ შორის ძაღლები „სტრელკა“ და „ბელკა“, ფრენისა და დედამიწაზე დაშვების შემდეგ თავს კარგად გრძნობენ.

ამჟამად მიმდინარეობს კოსმოსური ფრენიდან დაბრუნებული ცხოველების ყოველმხრივი გამოკვლევა. დამუშავებულმა აპარატურამ უზრუნველყო ცხოველთა ნორმალური სასიცოცხლო მოქმედება ფრენის დროს.

ამრიგად, ისტორიაში პირველად მოხდა, რომ ცოცხალი არსებანი, რომელთაც კოსმოსში იფრინეს შვიდასიათას კილომეტრზე მეტი მანძილი, მშვიდობიანად დაეშვნენ დედამიწაზე.

საბჭოთა მეცნიერების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მუშების მიერ შექმნილი კოსმოსური თანამგზავრი ხომალდის გაშვება და დედამიწაზე დაშვება, საპლანეტათაშორისო სივრცეში ადამიანის გაფრენის მაუწყებელია.

მოსკოვი დღეს.
ფოტო ნ. გრანოვსკისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი № 194 (11805) | კვირა, 21 აგვისტო, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

დიდება შენ, ჩემო სამშობლოვ!

დიდება შენ, ჩვენი დიადი სამშობლოს დიდო დედაქალაქო — მოსკოვო!

გულში ამბობ ამ სიტყვებს, როცა თვითმფრინავიდან უმზერ ან მატარებლით უახლოვდები საბჭოთა ქვეყნის გულს — ბუმბერაზ მოსკოვს. გიდგა შორიდან მიესალმო, შენი მშობლიური, ომახიანი ქართული ვაშაც უთხრა, რომ აგრე გაზრდილა, დამშვენებულა, უფრო გალამაზებულა და გოლიათი გახმდარა ხალხთა მშვიდობის მედროშე ქალაქი.

მოსკოვი, ჩვენი მოსკოვი!

რვა საუკუნის ქალაქია. წლებით ჭაღარა, მაგრამ თითქოს ახლა იბრუნებს სიჭაბუკეს, ისე იზრდება, მხრებს ზლის და თავის ძველ საზღვრებში ვერ ეტევა. მოსკოვისკენ მიიწევდნენ მის ირგვლივ მდებარე პატარა ქალაქები და მოსკოვიც მათკენ მიიწევდა, რომ საბოლოოდ ეშვილა, გულში ჩაეკრა — ბაბუშკინი, კუნცევო, ლიუბლინო, პეროვო, ტუშინო.

იზარდა, იზარდა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი, 87,5 ათას ჰექტარზე გადაეზარა თავისი დევგმირული მხარბეჭი. ქარსაცავად შემოირტყა მშვენიერი ტყეების მწვანე ქამარი 180 ათასი ჰექტარი ფართობით, საავტომობილო გზატეცილი კი საზღვრად დადო ბუმბერაზ ქალაქს — ჩვენს საყვარელ მოსკოვს.

ვინ იფიქრებდა ოდესმე, თუ ყოფილი ოღროჩოღრო, ვიწრო, მტვრიანი, მოუკირწყლავი ქუჩებით დაქსაქსული მოსკოვი, როგორც ის შეხვდა დიად ოქტომბერს, ასე ტოლუპოვრად გაიზრდებოდა, აღორძინდებოდა, აყვავდებოდა, გალამაზდებოდა. მოსკოვი ახლა საქალაქო მშენებლობის ტემპით ბევრად უსწრებს ნიუ-იორკს, ლონდონსა და პარიზს.

ეკითხულობთ ცნობებს მოსკოვის გაფართოების შესახებ. გაზეთების ფურცლებზე ჯერ საღებავიც არ გაშრალიყო, როცა რადიომ მოსკოვიდან გვაუწყა ახალი ფრიად სასახარულო ამბავი — ორბიტაზე გავიდა მეორე საბჭოთა საჰაერო ხომალდი-თანამგზავრი, კოსმოსში გაიჭრა 4.600 კილოგრამი წონის კოსმოსური ლაბორატორია, იგი აღჭურვილია სათანადო მოწყობილობით ადამიანის, აგრეთვე საცდელ ცხოველთა საფრენად ციურ სამყაროში. ხოლო გუშინ ნამდვილად გაუგონარი ამბავი შევიტყეთ — ცოცხალი არსებანი ისტორიაში პირველად დაბრუნდნენ კოსმოსიდან დედამიწაზე. სიტყვა უძლურია ამ ჭეშმარიტად დიადი მეცნიერული გამარჯვების შესაფასებლად.

აი რა ზღაპრულ წარმატებებს, მიღწევას მიღწევაზე ამრავლებს საბჭოთა მეცნიერება. მშვიდობისმოყვარე ჩვენი ქვეყანა მთავრობა ადამიანის გაფრენას ფიქრობს, როცა „ცივი ომის“ გამჩაღებები ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით საღვერსიო მიზნით უტიფრად გზავნიან ჯაშუშურ თვითმფრინავებს საბჭოთა სამშობლოს ციურ სივრცეში. განა ეს აშკარად არ აღიარა ოკეანეს გადმელმა საჰაერო მეკობრემ, ჯაშუშმა ფრენინავმა პაუერსმა, რომლის პროცესი ეს არის დამთავრდა მოსკოვში! მის საქმეზე გამოტანილი განაჩენი კიდევ ერთხელ აფრთხილებს „ომის ზღვარზე ბალანსირების“ პოლიტიკის მომხრეებს, რომ ჩვენი ქვეყანა ძირშივე აღკვეთს ომის მოტრფიალეთა შავბნელ ზრახვას, აღგვის ყველას, ვისაც სურს დაარღვიოს საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შრომა და შემოქმედება.

ზედიზედ მოდის ახალი, სასიხარულო ამბები მოსკოვიდან. დაე ისევ ისმინოს კაცობრიობამ საბჭოთა ხომალდთანამგზავრის მძლავრი სიგნალები, ამ ხმებით გაიგოს ყველამ, რომ უძლეველია ქვეყანა, სადაც კრემლის კოშკებზე აკაშკაშებს ლალის ვარსკვლავებს დიადი დედაქალაქი — მოსკოვი.

საბჭოთა თანამგზავრი კოსმოსში

ტელემეტრიული ინფორმაციის პირველადი დამუშავების მონაცემები, რომელიც გადმოცემულია თანამგზავრი ხომალდიდან, ხომალდზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. თანამგზავრზე დადგმულ გადამცემ „სიგნალს“ ზუსტად იღებს მრავალი მიწისზედა მიმღები პუნქტი.

ჰაერის წნევა და ტემპერატურა კაბინაში, აგრეთვე მისი შემადგენლობა და ტენიანობა რჩება დადგენილი ნორმების ფარგლებში. ფრენის მთელი დროის მანძილზე ჰაერის ტემპერატურა კაბინაში იყო დაახლოებით 20 გრადუსი ცელსიუსით, წნევა — სინდიყის სვეტის 760 მილიმეტრი.

ფიზიოლოგიური პარამეტრების ტელემეტრიული გზომვის მონაცემებმა, რომლებიც ცხოველების მდგომარეობას ახასიათებენ, გვიჩვენეს, რომ მათ დამაკმაყოფილებლად გადაიტანეს თანამგზავრი ხომალდის გაშვებისა და ორბიტაზე გაყვანის პერიოდი. ძაღლ „სტრელკას“ გაშვების წინ ჰქონდა პულსი 90, სუნთქვის სიხშირე — 60. თანამგზავრი ხომალდის ორბიტაზე გაყვანის დროს პულსი აღწევდა 160, სუნთქვის სიხშირე იყო 125, ფრენის საათახვევრის შემდეგ პულსი იყო 65, სუნთქვის სიხშირე 24.

ძაღლ „ბელკას“ გაშვების წინ პულსი ჰქონდა 75, სუნთქვის სიხშირე — 24. თანამგზავრის ორბიტაზე გაყვანის დროს პულსი აღწევდა 150, სუნთქვის სიხშირე 240. გფრენის საათახვევრის შემდეგ პულსი იყო 72, სუნთქვის სიხშირე 12.

მონაცემები ცხადყოფენ, რომ ორბიტაზე გაფრენის დროს უწონობის მდგომარეობაში ცხოველების ფიზიოლოგიური ფუნქციები ნორმალური გახდა. ტელემეტრიული სისტემით იღებენ ცხოველების გამოსახულებას, რომლებიც აგრეთვე ადასტურებენ ფიზიოლოგიური ფუნქციების ნორმალიზაციას. აღბეჭდილია ცხოველების მიერ საკვების მიღება.

გზომვის საფუძველზე თანამგზავრი ხომალდის ორბიტის დაზუსტებულ ელემენტებს აქვთ შემდეგი სიდიდე: ბრუნვის პერიოდი — 90,7 წუთი, პერიგეის სიმაღლე 306 კილომეტრი, აპოგეის სიმაღლე 340 კილომეტრი, ორბიტის დახრა ეკვატორის სიბრტყისადმი 64 გრადუსი და 57 მინუტი.

გრძელდება დაკვირვება თანამგზავრი ხომალდისადმი.

* * *

განაგრძობს რა მოცემულ ორბიტაზე მოძრაობას, თანამგზავრმა ხომალდმა 20 აგვისტოს 10 საათსა და 30 წუთისათვის მოსკოვის დროით 16-ჯერ შემოუარა დედამიწას. დამატებით მიღებული ტელემეტრიული მონაცემები ადასტურებენ, რომ ხომალდზე მთელი აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

თანამგზავრი ხომალდის კაბინაში განუწყვეტლივ დაცულია ცხოველთა ცხოველმოქმედებისათვის საჭირო პირობები.

ცხოველთა მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ფრენის მე-10 საათზე, ძაღლ „სტრელკას“ პულსის სიხშირეა 106, სუნთქვა 30 წუთში. „ბელკას“ აქვს პულსი 120, სუნთქვა 40.

სისტემატურად წარმოებს სატელევიზიო დაკვირვება ცხოველთა მდგომარეობისადმი, რის გამოსახულება აღინიშნება კინოფირზე. მიღებული კინოკადრები გვიჩვენებენ, რომ ცალკეულ მომენტებში დიდდება ცხოველთა მოძრაობის აქტივობა. (საკდესი).

თესვა დაიწყო

შვიდწლედის მეორე წლის მოსავლის აღებისთანავე გორის რაიონის კოლმეურნეობებმა საშემოდგომო ხვნა-თესვა გააჩაღეს. სოფელ შინდისის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეოთხე ბრიგადამ, რომელსაც ალექსი ვახტანგაშვილი ხელმძღვანელობს, უკვე 100 ჰექტარზე აქვს დათესილი ხორბლეული.

აგურის ქარხანა კოლმეურნეობაში

წალენჯიხა. (საკ. კორ.). მთის მდინარე ენგურს გაღმა მდებარეობს წალენჯიხის რაიონის შორეული სოფელი ჭალე. ამ სოფლის საკოლმეურნეო მშენებლობისათვის, მოსახლეობის საჭიროებისათვის საშენი მასალები, მათ შორის აგური რაიონული ცენტრიდან ძნელად სავალი გზით დაჭირდათ.

ჭალეს კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ ამას წინათ ააშენა აგურის ქარხანა, რომლის თვიური წარმადობა 50 ათასი ცალს შეადგენს. ერთ გამოწვაზე 25 ათასი ცალი ხარისხოვანი აგური იწვის. წლის ბოლომდე ქარხანა 200 ათას ცალ აგურს გამოუშვებს. მომავალი წლიდან ქარხანა ნახევარ მილიონ აგურს გამოწვავს.

ჩემი რესპუბლიკის დღე

კარგი საქმე

ტყიბული. (საკ. კორ.). ოკრიბის მხარე მდიდარია მინერალური წყლებით, ბევრი დავრდომილი განუკურნავს კურსებისა და ხრესილის გოგირდოვანი წყლის აბაზანებს. მრავალი ადამიანი ეტანება ორპირის მინერალურ წყალს.

ამას წინათ დაბაძველის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ სოფელში მინერალური წყლის ბაზაზე მოაწყო სამკურნალო დანიშნულების აბანო. ბევრმა დაბაძველელმა და ახლო მდებარე სოფლების მცხოვრებმა უკვე მიიღო მინერალური წყლის აბაზანები.

კოლმეურნეობის გამგეობას გათვალისწინებული აქვს სამკურნალო აბანოს უფრო კეთილმოწყობა და გაფართოება.

გაზი მარგანეცის ქალაქში

ჭიათურა. (საკ. კორ.). გაზი მეტად იაფი და ხელსაყრელია მოსახლეობისათვის. ახლოულდა მარგანეცის ქალაქის მშრომელთა ნატვრა — ახლახან სამასამდე ოჯახში აინთო ღუმელები გაზით, რომელსაც აქ ბალონებით ეზიდებიან. გაზით სარგებლობენ ქალაქის საავადმყოფო, სბავშვო ბაღები, სასადილო-სამზარეულოები, კვერეთის აკ. წერეთლის სახელობის დასახვენებელი სახლი და სხვ.

წელს ვარაუდობენ 500-მდე ბინის გაზიფიცირებას.

მუსიკალური სკოლა სვანეთში

ლენტეხი. (საკ. კორ.). სვანეთში ყოველწლიურად ფართოვდება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი. სოფელ უახუნდარის მშრომელებმა კულტურის შესანიშნავი სასახლე ააშენეს. ამას წინათ მელურის კოლმეურნეებმა კარგი საჩუქარი მიიღეს. აქ გაიხსნა სასოფლო ბიბლიოთეკა.

დაკომპლექტდა და პირველი სექტემბრიდან რაიონის ცენტრში მუშაობას დაიწყებს მუსიკალური სკოლა. ამიერიდან სვანი ბავშვები თავიანთ მშობლიურ რაიონში მიიღებენ მუსიკალურ განათლებას.

ᲓᲘᲓᲘ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

საქართველოს კომპარტიის ქედის რაიკომის მდივანს ამხანაგ Ა. Მ. ᲐᲜᲐᲜᲘᲫᲔᲡ

ქედის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხანაგ Ვ. Ი. ᲜᲐᲙᲐᲨᲘᲫᲔᲡ

საქართველოს ალკკ ქედის რაიკომის მდივანს ამხანაგ Კ. Დ. ᲒᲔᲠᲘᲫᲔᲡ

ქედის რაიონის ყველა მშრომელს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გილოცავენ დიდ შრომითს წარმატებებს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმის 105 პროცენტით, კვერცხისა — 100 პროცენტით, რძისა — 100 პროცენტით, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის — 132 პროცენტით შესრულებაში.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში მიღწეული წარმატებანი მოპოვებულია კოლმეურნეთა თავდადებული შრომის, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანოების, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის ორგანიზატორული მუშაობის, კოლმეურნეობათა შემდგომი ეკონომიური განმტკიცების შედეგად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სრულ რწმენას გამოთქვამენ, რომ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისა და სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, კვერცხისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის, აგრეთვე მათი თვითღირებულების შემცირების 1960 წლის მაღალი ვალდებულებანი, რომლებიც თქვენ იკისრეთ, წარმატებით იქნება შესრულებული.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი | **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო**

ᲞᲐᲠᲢᲘᲐ, ᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲛᲘᲔᲡᲐᲓᲛᲔᲑᲘᲐᲜ ᲓᲐᲓᲔᲡᲢᲜᲔᲚ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲡ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გაუგზავნეს სკკპ დაღესტნის საოლქო კომიტეტს, რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს მისალმება, რომელშიც მხურვალედ მიულოცეს დაღესტნის ასსრ მშრომელებს დაღესტანში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების 40 წლისთავი და დაღესტნელ ხალხს უსურვეს შემდგომი აყვავება, ახალი წარმატებანი საბჭოთა სამშობლოს საკეთილდღეოდ.

მისალმებაში სკკპ დაღესტნის საოლქო კომიტეტის, დაღესტნის ასსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს სახელზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს, რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭომ მიულოცეს და უსურვეს მუშებს, კოლმეურნეებსა და ინტელიგენციას ახალი წარმატებანი კომუნისტურ მშენებლობაში რესპუბლიკის ცხოვრების ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით. (საკდესი).

მოსკოვი რუკა ახალ საზღვრებში! მწვანე ყელსაბამივით შემოჯვარია დედაქალაქს ტყეთა სარტყელი. ამიერიდან იქმნება ახალი, ხელსაყრელი შესაძლებლობანი ქალაქის შემდგომი განვითარებისათვის, მზრუველთა მუშაობისა და დასვენების უკეთესი პირობების შექმნისათვის. მოსკოვი კიდევ უფრო ლამაზი, დაფუძვენებული გახდება, მაგალითი იქნება სხვა ქალაქებისათვის რეკონსტრუქციისა და მშენებლობის საქმეში.


ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ ᲠᲣᲙᲐᲨᲘ
ᲛᲐᲠᲯᲕᲘᲜᲝ
ᲛᲘᲩᲣᲠᲘᲜᲘ
ᲓᲘᲓᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲠᲐᲓᲘᲣᲡᲘ
ᲠᲔᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲗᲐ ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲗᲐ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ

კოსმოსური ხომალდის სიგნალს ისმენს ამერიკა * განხეთძილება მალის ფედერაციაში * ნატო მანევრების ფაციფუცშია * ვაშინგტონი ასე დიდებას ვერ მოიხვეჭს.

საბჭოთა ოლქი
დეკანეულის ცხოვრების ცხოვრება

დიდი ექსპერიმენტი კოსმოსში

იმასთან დაკავშირებით, რომ დედამიწის თანამგზავრის ორბიტაზე გაშვებულ იქნა მეორე კოსმოსური ხომალდი, საკდესის კორესპონდენტმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას მიმართა თხოვნით — მისცენ ზოგიერთი ახსნა-განმარტება.

მეორე კოსმოსური ხომალდის გაშვება, რომელშიც არიან საცდელი ცხოველები, განაცხადეს მეცნიერებათა აკადემიაში, ახალი დიდი ნაბიჯია ისეთი ისტორიული პრობლემის გადაჭრის გზაზე. როგორიცაა ადამიანის გაგზავნა კოსმოსში. ყველასათვის გასაგებია, რომ ამისათვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა დარწმუნება გაფრენის უსაშიშრობაში. საქმე ეხება არა მარტო საქმის ტექნიკურ მხარეს, არამედ ამ შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იქნას სხვადასხვა ფაქტორის მოქმედება ადამიანის ორგანიზმზე.

ამის შესაბამისად მეცნიერები უკვე დიდი ხანია აწარმოებენ გეგმაზომიერ ბიოლოგიურ ექსპერიმენტებს ცხოველებზე. პირველი ამგვარი ცდა, რომელიც განხორციელდა დედამიწის თანამგზავრზე, იყო ძაღლი „ლაიკას“ ცნობილი გაფრენა. მაშინ შევაგროვეთ ძვირფასი მასალა და შევიძინეთ გამოცდილება, რათა განგრძობილიყო და განვითარებულიყო ექსპერიმენტები უფრო ფართო მასშტაბით.

როგორც ეს საკდესის ცნობიდან ჩანს, ახლანდელ გაფრენაში მონაწილეობს არა ერთი, არამედ ორი ძაღლი „სტრელკა“ და „ბელკა“. უკვე ეს გარემოება მოწმობს, რომ მკვლევარებს ექნებათ უფრო ფართო და მრავალფეროვანი მასალა, ვიდრე ოდესმე წინათ ჰქონიათ.

საკდესის კორესპონდენტის კითხვაზე, თუ როგორ არიან მოთავსებული საცდელი ცხოველები კოსმოსურ ხომალდში, უპასუხეს:

— ისინი მოთავსებული არიან სპეციალურად გამოყოფილ ჰერმეტულ კაბინაში. ძაღლები ერთად არიან, მათ ჰყოფს მხოლოდ გამჭვირვალე ბადის ტიხარი.

კითხვა: როგორ არის მოწყობილი კაბინა, რომელშიც ძაღლები არიან?

აი ისინი, მეორე საბჭოთა კოსმოსური ხომალდის „მგზავრები“ „ბელკა“ და „სტრელკა“.

ფოტო ვ. ეიხარენკოსი. (საკდესი).

პასუხი: კაბინაში არის სპეციალური ავტომატური მოწყობილობანი, რომლებიც იცავენ ოპტიმალურ მიკროკლიმატს — გაზის შემადგენლობის, ტემპერატურის, ტენიანობის, ბარომეტრული წნევის მხრივ. ყანგბადს, რომელიც ცხოველებს სჭირდებათ, გამოჰყოფენ სპეციალური ქიმიური ნივთიერებანი, რომლებიც ამავე დროს ნთქავენ ნახშირორჟანგსა და წყლის ორთქლს.

კითხვა: როგორ ხორციელდება ცხოველების კვება?

პასუხი: ცხოველებს დროის გარკვეულ შუალედში საკვებს სპეციალური ავტომატები აწვდიან. ეს არის კომბინირებული საკვები, რომლებიც შეიცავს მაწიერ ნივთიერებებსა და წყალს.

საუბრის დროს გაშუქებულ იქნა აგრეთვე კოსმოსის პირობებში ცოცხალი ორგანიზმის ფიზიოლოგიური ფუნქციების მდგომარეობისადმი კონტროლის სისტემასთან დაკავშირებული საკითხები. ამ მიზნით მოწყობილია სპეციალური გადამწოდები, რომლებიც დამაგრებულია საცდელი ცხოველების სხეულზე. ამ გადამწოდებისაგან მიღებული სიგნალები დედამიწაზე გადაიცემა სპეციალური რადიოტელემეტრული აპარატურის დახმარებით.

რას აღნუსხავენ ეს ხელსაწყოები?

გულის მუშაობას (აღინუსხება ელექტროკარდიოგრამა), სისხლის წნევის სიდიდეს, შემდეგ — სუნთქვას, სხეულის ტემპერატურას, ცხოველის მოძრაობის ხასიათს, რაც განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს უწონობის პირობებში.

კოსმოსურ ხომალდზე პირველად მოწყობილია სატელევიზიო სისტემა, რათა განხორციელდეს დაკვირვება ცხოველთა მოქმედებაზე კოსმოსური ფრენის დროს.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს დაკვირვებანი საინტერესო იქნება და გამიდიდრებს ცოდნას მფრინავ ყუმბარაში სხეულის მდგომარეობის შესახებ უწონობის პირობებში. ასეთ მდგომარეობაში კი ძაღლები აღმოჩნდნენ ხომალდის ორბიტაზე გასვლისთანავე. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ აღმნუსხველი მოწყობილობა ძაღლებს მოძრაობის საკმაო თავისუფლებას აძლევს. მათ შეუძლიათ ადგომა, დაჯდომა, გვერდზე ან მუცელზე დაწოლა. ტელევიზორში უფრო უკეთესი ხედვისათვის შერჩეულია ლია ფერის ძაღლები.

შემდეგ კორესპონდენტს აცნობეს, რომ ძაღლების, გაფრენას წინ უძღოდა ხანგრძლივი და გულმოდგინე მზადება. იგი რამდენიმე ეტაპად წარმოებდა; ძაღლებს ავარჯიშებდნენ შეზღუდულ სივრცეში ხანგრძლივი ყოფნისათვის, გარე სამყაროდან მოცილებით. ძაღლებს აჩვევდნენ სხეულზე გადამწოდების ტარებას, სპეციალურ ტანსაცმელში — „კოსმონავტის კოსტიუმში“ ყოფნას, კომბინირებულ საკვებს. რომელსაც ისინი ავტომატებიდან იღებდნენ. სპეციალური დანადგარებით წარმოებდა ცხოველებზე ვიბრაციის, დაჩქარების, ხმაურისა და კოსმოსში ფრენის დროს მოსალოდნელი სხვა ფაქტორების ზემოქმედების კონტროლი.

უკვე მიღებული ცნობები ცხადყოფენ, რომ თანამგზავრ ხომალდზე მოწყობილი სისტემები ნორმალურად მუშაობენ. ცნობები, რომლებიც მიღებულია ორბიტაზე თანამგზავრის გაშვების ორი საათის შემდეგ, მოწმობენ, რომ ცხოველები კარგად არიან.

ცხოველთა მდგომარეობაზე დაკვირვება და მიღებული ცნობების გაშიფვრა გრძელდება. (საკდესი).

ეს ახალი ამბავი ნამდვილი სენსაციაა

უცხოეთის პრესის გამოხმაურება მეორე კოსმოსური ხომალდის გაშვების გამო

ნიუ-იორკი, 20 აგვისტო. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ფორტ-მონმუტიდან (ნიუ-ჯერსის შტატი) იუწყება, გუშინ ამერიკის არმიის კავშირგაბმულობის კორპუსის ლაბორატორიასთან არსებულმა ასტრონომიულ დაკვირვების ცენტრმა მიიღო საბჭოთა კოსმოსური ხომალდის სიგნალი.

ცენტრის წარმომადგენელმა თქვა, რომ სიგნალს იღებდნენ თხუთმეტი წუთის განმავლობაში.

პარიზი, 20 აგვისტო. (საკდესი). საბჭოთა კავშირის მიერ მეორე კოსმოსური ხომალდის გაშვებას ცხოველებიანად განსაკუთრებული დიდი ინტერესით შეხვდნენ საფრანგეთში. საღამოს გაზეთებმა ვერ მოასწრეს ამ ამბის შეტყობინება თავიანთ პირველ გამოშვებებში. ამიტომ პირველი, ვისგანაც ფრანგებმა შეიტყეს საბჭოთა კავშირის დიდმნიშვნელოვანი ახალი ამბავი, იყო რადიო, რომელმაც გამოაცხადა აგრეთვე, რომ დღის მეორე ნახევარში საბჭოთა კოსმოსურმა ხომალდმა გადაუფრინა საფრანგეთის დედაქალაქს და რომ რადიოსიგნალები მისგან რეგისტრირებულია მედონის ობსერვატორიაში, რომელიც პარიზის ახლოს მდებარეობს.

გუშინ საღამოს ქალაქის ქუჩებში გაზეთების კიოსკებთან, პარიზის მეტროს მატარებლებში შეიძლებოდა გენახათ ადამიანები, რომლებიც ინტერესით კითხულობდნენ გაზეთების უკანასკნელ გამოშვებებში ცნობას, რომ საბჭოთა კოსმოსური ხომალდი ორბიტაზე გავიდა.

ამ ახალმა ამბავმა ნამდვილი სენსაცია გამოიწვია პრესაში. ყველა საღამოს გაზეთი ამ ამბავს ბეჭდავს პირველ გვერდზე დიდრონი სათაურებით. გაზეთებში „ფრანს-სუარსა“ და „პარი-პრეს ენტრასიჟანში“ სათაურები, რომლებიც თითქმის სპალკატო შრიფტით არის აწყობილი, მთელ პირველ გვერდზეა გადაჭიმული.

ამ ახალმა ამბავმა ნამდვილი სენსაცია გამოიწვია პრესაში. ყველა საღამოს გაზეთი ამ ამბავს ბეჭდავს პირველ გვერდზე დიდრონი სათაურებით. გაზეთებში „ფრანს-სუარსა“ და „პარი-პრეს ენტრასიჟანში“ სათაურები, რომლებიც თითქმის სპალკატო შრიფტით არის აწყობილი, მთელ პირველ გვერდზეა გადაჭიმული.

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ

◆ თეთრი სახლის ნიანგების ცრემლები. ◆ კანონი რევოლუციური სასამართლოების შესახებ. ◆ ნატოს მომავალი სამხედრო-საზღვაო მანევრები. ◆ საგანგებო წესები მალიში. ◆ ეიზენჰაუერის განცხადება.

ვაშინგტონი, 19 აგვისტო. (საკდესი). თეთრმა სახლმა გამოაქვეყნა სპეციალური განცხადება განაჩენის გამო, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ გამოუტანა ამერიკელ ჯაშუშ მფრინავს პაუერსს. განცხადებაში ერთი სიტყვაც არ არის პაუერსის ბედისათვის ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისა და პირადად პრეზიდენტის პასუხისმგებლობის შესახებ, რომლის თანხმობით და მოწონებით წარმოებდა ისეთი ოპერაციები, როგორიცაა თვითმფრინავის „უ-2“ ჯაშუშური ფრენა. სამაგიეროდ განცხადებაში უხვად არის სინანულის სიტყვები პაუერსისათვის გამოტანილი გარჩევნის „სიმკაცრის“ შესახებ, თუმცა, ოთვალისწინებენ რა პაუერსის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, განაჩენს სამართლიანად განიხილავენ ყველგან როგორც მეტად ლმობიერს.

არადამჯერებლად ეღერს თეთრი სახლის განცხადებაში აგრეთვე თანაგრძნობა პაუერსის ოჯახის წევრებისადმი, რამდენადაც ეს თანაგრძნობა მომდინარეობს იმ ხვედრის პირდაპირი დამნაშავეებისაგან, რაც ამერიკელ ჯაშუშს ეწია.

სტამბოლი, 19 აგვისტო. (საკდესი). ეროვნული ერთიანობის კომიტეტმა გამოაცხადა, რომ მიღებულია კანონი რევოლუციური სასამართლოების შესახებ. ეს სასამართლოები გაარჩევენ იმ პირთა საქმეებს, რომლებიც ახალი რეჟიმის წინააღმდეგ გამოდიან. ასეთი სასამართლოების შექმნისა და მათი საქმიანობის ვადის განსაზღვრის უფლება ეკუთვნის ეროვნული ერთიანობის კომიტეტს.

სასჯელის ზომა, რომლის განსაზღვრის უფლება ექნებათ რევოლუციურ სასამართლოებს, არის 5-დან 15 წლამდე პატიმრობა. მაგრამ, თუ არის დანაშაულის დამამძიმებელი გარემოებანი, მათ შეუძლიათ გამოიტანონ სიკვდილის განაჩენიც.

პარიზი. 20 აგვისტო. (საკდესი). 20 სექტემბრიდან ოქტომბრის პირველ რიცხვებამდე ატლანტიის ოკეანეში გაიმართება ნატოს სამხედრო-საზღვაო მანევრები, რომლებიც ყველაზე დიდი მანევრები იქნება უკანასკნელ სამ წელიწადში. მთავარი ოპერაცია სახელწოდებით „სუორდ ტრასტი“, რომლის მომზადება დაახლოებით ერთ წელს წარმოებდა, განხორციელდება ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში.

როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, მანევრებში მონაწილეობას მიიღებენ ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის, კანადის, ნორვეგიისა და ჰოლანდიის ხომალდები, მათ შორის ავიამზიდები „სარატოგა“, „ფანგრი-ლა“, „ესექსი“, „ჰერმესი“, „არკ როიალი“, აგრეთვე ატომური წყალქვეშა ნავი „ტრიტონი“. თითქმის ამავე დროს ცოტა სამხრეთით განხორციელდება ნატოს სამხედრო-საზღვაო ძალების მეორე ოპერაცია აგრეთვე პორტუგალიის ხომალდების მონაწილეობით.

პარიზი, 20 აგვისტო. (საკდესი). როგორც უცხოეთის საინფორმაციო საააგენტოები იუწყებიან, გასულ ღამეს მოდიბო კეიტამ, აფრიკის ფედერაციი მალის (რომლის შემადგენლობაში შედიან საფრანგეთის ყოფილი ტერიტორიები სენეგალი და სუდანი) პრემიერ-მინისტრმა გამოაცხადა, რომ ამ ქვეყანაში შემოღებულია საგანგებო წესები და სენეგალის პრემიერ-მინისტრს მამადუ დიას აპყარა ფედერაციის პრემიერ-მინისტრის მოადგილის უფლებამოსილება.

გამოვიდა რა რადიოთი, კეიტამ განაცხადა, რომ „ზოგიერთი პოლიტიკური ლიდერი ცდილობს დაარღვიოს ერთი ერთიანობა პრეზიდენტის არჩევნების საბაბით“.

კეიტას გამოსვლის შემდეგ სენეგალის მთავრობამ, რომელსაც დია მეთაურობს, დაუყოვნებლივ გამოაცხადა სენეგალის დამოუკიდებლობა და განაცხადა, რომ გადის მალის ფედერაციის შემადგენლობიდან.

ფრანს პრესის საააგენტოს კორესპონდენტი დაკარიდან იუწყება, რომ პრემიერ-მინისტრ კეიტას ბრძანებით ფედერალურმა ჯარებმა დაიკავეს მთავარი პოზიციები ფედერაციის დედაქალაქ დაკარში.

ნიუ-იორკი, 19 აგვისტო. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის საააგენტოს კორესპონდენტი ბრიუსელიდან იუწყება, პრემიერ-მინისტრმა ეისკენსმა განაცხადა გუშინ წარმომადგენელთა პალატაში, რომ მის მთავრობას განზრახული აქვს ამა წლის ოქტომბერში სთხოვოს ნატოს გადასინჯოს ბელგიის ვალდებულებანი ამ ორგანიზაციის მიმართ.



— მაგრამ იქ ხომ ყველაფერი ასე ჩქარ-ჩქარა იცვლება...

ნახატი პარიზის გაზეთ „ოზ ეკუტიდან“.

— აკი ვამბობდი, რომ არ ღირს მათ წერა-კითხვა ასწავლო!

ნახატი ბ. დიმოვსკისა ბულგარეთის გაზეთ „ტრუდიდან“.

განცვიფრებული დავრჩით ჩვენ

შვედი საზოგადო მოღვაწე სსრ კავშირში მოგზაურობის შესახებ

სტოკჰოლმი, 19 აგვისტო. (საკდესი). საბჭოთა კავშირში ორი კვირის მოგზაურობიდან სტოკჰოლმს დაბრუნდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე, შვეციის ქალთა სოციალ-დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარე ინგა ტურსონი.

შვედ კორესპონდენტებთან საუბარში მან აღნიშნა, რომ მოსკოვში ყოფნამ, ტაშკენტსა და სამარყანდში მოგზაურობამ, საავადმყოფოების, სკოლების, სბავშვო სახლების, პიონერთა ბანაკებისა და სხვა სოციალ-საყოფაცხოვრებო და კულტურულ დაწესებულებათა დათვალიერებამ მას შეუქმნა მტკიცე რწმენა, რომ ამ დარგში საბჭოთა ხალხმა განსაცვიფრებელ შედეგებს მიაღწია. ჩვენ გულწრფელად განცვიფრებული დავრჩით, თქვა მან, როცა ვნახეთ, თუ რა ფართო მშენებლობა მიმდინარეობს უზბეკეთის რესპუბლიკაში, რომლის შესახებ წაგვიკითხავს და გაგვიგონია, როგორც წარსულში ჩამორჩენილი განაპირა მხარის შესახებ.

კვალიფიციური კადრების მომზადებაში, აღნიშნა დასასრულ მან, რუსები შორს წავიდნენ წინ, გაცილებით უფრო შორს, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატები.

საბჭოთა კავშირსა და ამერიკის საკავშირო მიმოსვლის შესახებ

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირსა ამერიკის შეთანხმებით მეცნიერების, ტექნიკის, განათლებისა და კულტურის დარგში გაცვლის შესახებ, რაც დადგა 1959 წლის 21 ნოემბერს, გთვალისწინებულია პირდაპირი საჰაერო მიმოსვლის დამყარება საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. მიღწეული იყო შეთანხმება, რომ მოლაპარაკება საბჭოთა კავშირისა და ამერიკის დელეგაციებს შორის ამ საკითხზე დაიწყება ა. წ. 18 ივლისს ქალაქ ვაშინგტონში.

ა. წ. 14 ივლისს, ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა დელეგაციის განზრახული გაფრენის წინ, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ მოსკოვში სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცა სამახსოვრო ბარათი, რომელიც შეიცავს წინადადებას, რომ მოლაპარაკების დაწყების თარიღი გადადიოს „უფრო შესაფერ დრომდე“.

18 აგვისტოს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაგზავნა პასუხი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სამახსოვრო ბარათზე. ამ პასუხში სსრ კავშირის მთავრობამ მიიღო ცნობად ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის განცხადება იმის შესახებ, რომ მას, მიუხედავად არსებული შეთანხმებისა, არა აქვს განზრახვა აწარმოოს ამჟამად მოლაპარაკება სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის პირდაპირი საჰაერო მიმოსვლის დამყარების შესახებ.

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ

ᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡ წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირის, სხვა სახელმწიფოთა აზრის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და სამხედრო ბლოკებმა, მათმა მოკავშირეებმა მოითხოვეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის მოწვევა და თავისი გაიყვანეს. მაგრამ ამ მოჩვენებითმა „გამარჯვებამ“ დიდება როდი მოუხვეჭა ვაშინგტონს. პირიქით, კომისიის სხდომებმა საბოლოო ანგარიშით ხელი შეუწყო განიარაღების წინააღმდეგ იმ არასანარბილო მანევრების მხილებას, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები ახორციელებენ.

□ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲔᲑᲔ. □ ᲞᲐᲣᲔᲠᲡᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲐ ᲐᲛᲮᲚᲘᲡ ᲯᲐᲨᲣᲨᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲗᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲜᲘᲜᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲜᲘ. □ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲗᲐ ᲝᲠ�გᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲘᲐᲠᲐᲚᲘᲐ.

განმარტა რა მოტივები, რომლებმაც შეერთებული შტატები აიძულეს ეოთხოვათ კომისიის მოწვევა, ამერიკის დელეგატმა ლოჯმა გააკეთა საგულისხმო აღიარება. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, განაცხადა მან, „ამ სხდომის მოწვევა ითხოვეს არა იმისათვის, რომ აწარმოონ... მოლაპარაკება განიარაღების შესახებ“, არამედ „იმიტომ, რომ სურდათ მთელი მსოფლიო საზოგადოებრივი აზრისათვის გაეცნოთ თავიანთი მოსაზრებანი“. სხვანაირად. რომ ვთქვათ, კომისიის მოწვევა ამერიკის შეერთებულთა შტატების მმართველ წრეებს დასჭირდათ არა იმისათვის, რომ წინ წაეწიათ განიარაღების საქმე, არამედ იმისათვის, რომ გაემართლებინათ განიარაღების შესახებ მოლაპარაკების ჩაფუშვის თავიანთი პოლიტიკა. ამგვარი მისწრაფებისათვის ამერიკელ პოლიტიკანებს მით უფრო ძეტი საფუძველი აქვთ, რომ ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარეობს წინასაარჩევნო კამპანია და მმართველ წრეებს ძალიან უნდათ გაამართლონ ამერიკელების თვალში თავიანთი საგარეოპოლიტიკური ხაზი. ამ მიზნებს და ამასთან ცდებს, რომ ათი სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტში მოლაპარაკების ჩაფუშვის პასუხისმგებლობა დააკისრონ საბჭოთა კავშირს, მიეძღვნა ამერიკის, ინგლისისა და დასავლეთის მთელი რიგი სხვა სახელმწიფოების დელეგატების გამოსვლები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიის სხდომებზე. გარდა ამისა, ისინი ცდილობდნენ, რათა კომისიის სხდომებს გამოერიცხა იმის საჭიროება, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-15 სესიაზე, რომელიც სექტემბერში იქნება მოწვეული, განხილულ იქნას საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ ასამბლეის შარშანდელი რეზოლუციის შესრულების მდგომარეობის საკითხი.

მაგრამ განიარაღების მოწინააღმდეგეთა მანევრებს წარმატება არ მოჰყოლია. კომისიამ მიიღო ინდოეთისა და ხუთი სხვა ქვეყნის მიერ წარდგენილი რეზოლუცია, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნულია განიარაღების პრობლემის დიდი მნიშვნელობა და რეკომენდებულია მისი განხილვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-15 სესიაზე. ამაო აღმოჩნდა ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების ცდები გაემართლებინათ განიარაღების შესახებ მოლაპარაკების ჩაფუშვის თავიანთი პოლიტიკა. სამხედრო ბლოკებში ზოგიერთმა მოკავშირემაც კი არ დაუჭირა მათ მხარი. მაგალითად, ავსტრალიისა და ფილიპინების წარმომადგენლებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიაში გააკეთეს განცხადებანი, რომლებშიც ვერ გაბედეს და მხარი ვერ დაუჭირეს ამერიკის ცილისწამებას იმის შესახებ, რომ სსრ კავშირი პასუხისმგებელია ათი სახელმწიფოს კომიტეტის მუშაობის წარუმატებლობისათვის.

ᲐᲜᲔᲠᲘᲙᲘᲡ დემარშის ასეთი შედეგი კანონზომიერია. საზოგადოებრიობას მსოფლიოს ყველა ქვეყანაში არ შეუძლია არ დაგმოს ის, რომ შეერთებული შტატები მრავალი წლის მანძილზე საბოტაჟს უწევენ საბჭოთა კავშირის ღონისძიებებს პრაქტიკული შეთანხმებების გზაზე დაიყენოს მოლაპარაკება განიარაღების შესახებ. ამას წინათ გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ ასე განსაზღვრა ამერიკის შეერთებული შტატების გაელენიანი წრეების თვალსაზრისი განიარაღების პრობლემაზე: „ფაქტი ფაქტად რჩება: საბჭოთა კავშირმა მიაღწია იმას, რომ საყოველთაო და სრული განიარაღების მისი გეგმა ყველგან ჩანს... ამ პირობებში დასავლეთის პოლიტიკა იმით გამოიხატება, რომ აქოს საბჭოთა გეგმა, სადაც საჭიროა და აკრიტიკოს იგი რაც შეიძლება უფრო ზრდილობიანად... მერე განიარაღება?.. კითხვაზე შეიარაღებული ძალების ფაქტიური მოსპობის ან შემცირების დარგში დაუყოვნებლივი პროგრესის შესახებ არის ერთი პასუხი: არავითარ შემთხვევაში“.

„ნიუ-იორკ ტაიმსის“ მსჯელობა ააშკარავებს ამერიკის მანევრების არსს განიარაღების საკითხებში. ამ მანევრების უგნებელსაყოფად საჭიროა მოლაპარაკება უმაღლეს დონეზე და მასთან ისეთი მოლაპარაკება, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ხალხთა საყოველთაო მოთხოვნას. სწორედ ასეთი მოლაპარაკების მოწყობას ემსახურება სსრ კავშირის წინადადება იმის შესახებ, რომ განხილულ იქნას განიარაღების პრობლემა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-15 სესიაზე სახელმწიფოთა ან მთავრობათა მეთაურების მონაწილეობით. მხარი დაუჭირა რა საბჭოთა ინიციატივას, ინდოეთის წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის სხდომაზე ხაზგასმით აღნიშნა: „ყოველი ნაბიჯი განიარაღების გზაზე „წარმოადგენს არა მარტო სასიცოცხლო აუცილებლობას, არამედ აგრეთვე საპატიო მოვალეობას“.

ინდოეთის დელეგატის სამართლიანან შენიშვნებს სრულიად ეწინააღმდეგება არა მარტო ამერიკის შეერთებული შტატების ხაზი განიარაღების საკითხებში, არამედ აგრეთვე ამერიკის აგრესიის, პროვოკაციებისა და ჯაშუშობის პოლიტიკა. ეს მთელ მსოფლიოს მოაგონა ახლახან დამთავრებულმა სასამართლო პროცესმა ჯაშუში მფრინავის პაუერსის საქმის გამო.

ჯერ კიდევ პროცესის დაწყებამდე ამერიკის შეერთებული შტატების უაღრესად პასუხისმგებელი ოფიციალური წარმომადგენელნი ამტკიცებდნენ, რომ იგი თითქოს „პროპაგანდისტულ მიზნებს“ ისახავს, რომ „საბჭოთა მართლმსაჯულება უკანონოა“ და სხვ. ვიცე-პრეზიდენტი ნიქსონი ყოველნაირად ცილს სწამებდა საბჭოთა სასამართლოს და ამართლებდა ამერიკელთა ჯაშუშურ ფრენას და ამ ფრენის ორგანიზატორებს, რომლებმაც ჯაშუშობა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის პრინციპად გადააქციეს.

სინამდვილემ გააბათილა ნიქსონისა და მის დამჭაშთა ინსინუაციები. პაუერსის გასამართლება, როგორც ბევრი უცხოელი მეთვალყურე, მათ შორის ინგლისელი კრიმინოლოგი დეიჩესი აცხადებს, ისე მიმდინარეობდა, რომ არ შეიძლება გამოეწვია რაიმე საყვედური და პრეტენზია. „სასამართლო გამომძიება მოსკოვის პროცესზე, — განაცხადა დეიჩესმა, — თითქმის სავსებით ემთხვევა ინგლისის სამხედრო სასამართლოს პროცედურას... სავსებით ნათელია, რომ რუსები მტკიცედ იცავენ კანონის ფორმას და სასამართლო პროცესის წესებს... ეს ნამდვილ ღირსებას ანიჭებს სასამართლოს“.

პაუერსის გასამართლებამ და სასამართლოს განაჩენმა ამერიკელი ჯაშუში ამხილეს როგორც სისხლის სამართლის დამნაშავე. ამავე დროს სასამართლო პროცესმა გამოამჟღავნა იმათი სამარცხვინო საქმენი, ვინც პაუერსი გამოგზავნა დანაშაულის ჩასადენად და საჰაერო ჯაშუშობისა და აგრესიის პოლიტიკას ახორციელებს ჩვენი ქვეყნის მიმართ.

ამ პოლიტიკას დიდი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ 1955 წელს ამერიკის ჟურნალი „ფუნიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტი“ წერდა: „საბჭოთა კავშირის მიმართ საჰაერო ჯაშუშობა შეიძლება ხორციელდებოდეს ისე, რომ დანაკლისის მოსალოდნელობა ძალიან მცირე იყოს... ჩვენ შეგვიძლია ვაწარმოოთ დაზვერვითი ოპერაციები, ამასთან რუსები ვერაფერს გაიგებენ მათ წინააღმდეგ“. სწორედ დაუჯერებლობის იმედით ხორციელდებოდა ჯაშუშური თვითმფრინავების შემოჭრა საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცეში. მაგრამ ი პაუერსის თვითმფრინავი ჩამოგდებული აღმოჩნდა, და დაუჯერებლობის ლეგენდა გაქარწყლდა. მაგრამ ამან ვერ მოიყვანა გონს აგრესიული აქტების ორგანიზატორები. გამოთქვამდა რა მათ აზრს, გაზეთი „უოლსტრიტ ჯორნელი“ სულ ცოტა ხნის წინათ წერდა: „ახლა, როცა რუსეთმა დაამტკიცა, რომ მას შეუძლია ჩამოაგდოს ამერიკის ჯაშუშური თვითმფრინავები, ამერიკის შეერთებული შტატები დაიჩქარებენ რკინის ფარდის იქით შეხედვის ახალი მეთოდის შემუშავებას — ხელოვნური თანამგზავრების საშუალებით“.

ᲯᲔᲛᲐᲠᲘᲢᲐᲓ კუზიანს სამარე გასწორებს. აგრესიულ პოლიტიკაში, რომელიც გამანადგურებელი ომით ემუქრება კაცობრიობას, ამერიკელი იმპერიალისტები არაფერს ერიდებიან. პაუერსის მარცხიდან ისინი აკეთებენ მხოლოდ დასკვნას ჯაშუშობის ახალი მეთოდების შემუშავების შესახებ! მათ არ სურთ გამოეთხოვონ აგრესიის თავიანთ პოლიტიკას, არამედ ადგენენ მისი „სრულყოფის“ გეგმებს, რამაც შეიძლება მხოლოდ მოწამლოს საერთაშორისო ვითარება.

მსოფლიო საზოგადოებრიობა, იხილავს რა პაუერსის პროცესის შედეგებს, გადაჭრით გმობს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის პოლიტიკას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა გაძლიერდეს სიფხიზლე ამერიკელ იმპერიალისტთა ხრიკების მიმართ. ამისათვის მოწოდება მით უფრო აქტუალურია, რომ შშვიდობის მტრების ხრიკები სულ უფრო ბოროტ ხასიათს იღებს და სულ სხვადასხვა ფორმით ვლინდება. ერთ-ერთი მათგანია ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების მიერ ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის გამოყენება თავიანთი ინტერესებისათვის.

1948 წელს შექმნილი ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია, რომელიც ლათინური ამერიკის 20 ქვეყნისა და ამერიკის შეერთებული შტატებისაგან შედგება, გადაიქცა ჩრდილოეთ ამერიკის მმართველი წრეების საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ იარაღად და მას იყენებენ როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობისათვის ლათინურ ამერიკაში, ისე სხვა ბინძური მაქინაციებისათვის. ამის მაგალითია შეერთებული შტატებისათვის მიუღებელი მთავრობის დამხობა გვატემალაში, რაც ამერიკის მონოპოლიებმა განახორციელეს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის საფარით. ასეთივე დანაშაულებრივი მიზნებით ცდილობენ ამერიკის შეერთებული შტატები ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის გამოყენებას ამ დღეებში.

ᲐᲜᲔᲠᲘᲙᲘᲡ სახელმწიფოთა ორგანიზაციის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე, რომელიც 16 აგვისტოს გაიხსნა სან-ხოსეში (კოსტარიკა), განსახილველად დასმულია ორი საკითხი: ვენესუელის პროტესტი დომინგოს რესპუბლიკის მთავრობის მოქმედების წინააღმდეგ და ვაშინგტონის მიერ ინსპირირებული პერუს მთავრობის განცხადება „დასავლეთის ნახევარსფეროს საქმეებში გარეგან ჩარევის“ შესახებ.

რაც შეეხება პირველ საკითხს, საქმე ეხება დომინგოს რესპუბლიკის დიქტატორის ტრუხილიოს მიერ ვენესუელის პრეზიდენტ ბეტანკურზე თავდასხმის მოწყობას. პროტესტს აცხადებს რა ამის წინააღმდეგ, ვენესუელა მოითხოვს ეკონომიურ სანქციებს ტრუხილიოს რეჟიმის წინააღმდეგ. დომინგოს დიქტატორმა ახალ დანაშაულობასთან დაკავშირებული ამბები იმდენად ნათელია, რომ თითქოს, ვენესუელის მოთხოვნებს არავინ გაიზიარებს. მაგრამ ტრუხილიო, როგორც გაზეთი „ვაშინგტონ პოსტ ენდ ტა

ლიტერატურა და ხელოვნება

წერილი რედაქციას

ივანე მაჩაბლის ხსოვნის უკვდავსაყოფად

ცნობილი ქართველი მწერალი ივანე მაჩაბელი, შექსპირის უბრწყინვალესი მთარგმნელი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, დაიბადა 1854 წელს ლიახვის ხეობაში, სოფელ თამარაშენში. ი. მაჩაბელმა ყრმობა და სიჭაბუკე იქ გაატარა. თამარაშენი მისი უსაყვარლესი კერა იყო — და შექსპირსაც, როგორც მისი წერილებიდან ჩანს, მეტ წილად საშობლო სოფელში თარგმნიდა, როცა კი საზოგადო საქმეებისაგან თავისუფალ დროს იპოვნიდა.

ფასდაუდებელი განძია მაჩაბლის ღვაწლი შექსპირის გადმოქართულებაში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მრავალ ეროს არა აქვს შექსპირი ისე დიდებულად გადმოცემული თავის ენაზე, როგორც ჩვენ, ქართველებს, ივანე მაჩაბლის წყალობით.

44 წლის მაჩაბელი უკვალოდ დაიკარგა თბილისში, 1898 წელს. და მისი ტრაგედია დღესაც აწუხებს ქართველ საზოგადოებრიობას. მითუმეტეს რა უფლება გვაქვს დავკარგოთ ესოდენ დიდი პიროვნების კერა, მისი სახლკარი, მაშინ როცა დღევანდელ საქართველოში არ დარჩენილა არცერთი ცნობილი მწერალი, რომლის სახელობის სახლ-მუზეუმი არ იყოს მოწყობილი. ამიტომ საკუთრივ ბუნებრივია, რომ ივანე მაჩაბლის სახელობის სახლ-მუზეუმიც უნდა შექმნილიყო თავის დროზე, ჯერ კიდევ 1954 წელს, მაჩაბლის დაბადების 100 წლისთავზე. ეს საკითხი რამდენჯერმე იყო წამოჭრილი პრესაში. მაგრამ ამაოდ.

იმედია საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო გამოეხმაურება ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმის თამარაშენში გახსნის საკითხს, ამით უურადღება მიექცევა ჩვენი კლასიკური ლიტერატურული მემკვიდრეობის შენახვისა და მოვლის დიდ კულტურულ საქმეს. მრავალი ძვირფასი ექსპონატი გაიბნა, დაიღუპა ამ ჩვენი დაუდევრობით. ვიზრუნოთ, რათა წმიდად შევინახოთ ჩვენი ერის საამაყო შვილის — ივანე მაჩაბლის ხსოვნა.

გიორგი ლეონიძე,
საქართველოს სახალხო პოეტი.

ბელორუსულ ალაზნის მხარეში...

...**ამგვარი** კოლესიელში მოხდა. ორმა გოგონამ, დებმა გალიამ და ლიუბამ სიკვდილისაგან იხსნეს ტანკისტები — პოლტავშჩინელი ოსტაპი და ალაზნელი შოთა. როგორც კი ჭრილობა მოიშუშეს, ბიჭებმა კვლავ ფრონტს მიაშურეს. ორ წელიწადს ელოდნენ გოგონები თავიანთ საქმროებს, რომლებიც გამარჯვებულნი დაბრუნდნენ. მკერდი ჯილდოებით უბრწყინავთ, სახე და გული კი სიყვარულით. ოსტაპი ბულბულივით მღერის სიყვარულზე, აქებს და აქებს პოლტავურ საზამთროს, ერთი სული აქვს, ვიდრე თვალუუყუნუნ გალიას წაიყვანდეს. ოსტაპს არც შოთა ჩამორჩება, მაგრამ ბევრი რა სალაპარაკოა: თავისი ქვეყნის სილამაზე ორ პოეტურ სიტყვაში დასტია — **აყვავებული ალაზანი!**

გულით უყვართ გოგონებს თავიანთი საქმროები, კარგის მეტი არაფერი ეთქმით არც ალაზანზე და არც პოლტავშჩინაზე. მაგრამ სისხლითა და ხორცით შეზრდიან მშობელი პოლესიეს ტყიან და ჭაობიანს, ალერსიან და მრისხანე მიწას. მადლიანი მხარე ბელორუსიისა მშობელ მარჯვენას დაუმორჩილებია. გოგონებსაც ოქროს მარჯვენა აქვთ და ამიტომაც არ უნდათ წასვლა პოლესიედან, გადაწყვიტეს პოლესიე აყვავებულ ალაზნის ველად ვაქციოთო. ბიჭებმა მოიწყინეს, მაგრამ რას იზამდნენ, თავს ზევით ძალა არ იყო და.. დარჩნენ...

ასეთია მოკლე შინაარსი კ. გუბარევიჩისა და ი. დორსკის პიესისა, რომელსაც „ალაზნის ველი“ ეწოდება.

გაზეთ „სოვეტსკაია კულტურას“ 16 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილია **გიორგი კოლოსის** წერილი **„ბელორუსულ ალაზნის მხარეში...“**, რომელიც მკითხველს პოლესიეს გულის — პინსკის სახალხო თეატრის მიერ „ალაზნის ველის“ დადგმაზე მოუთხრობს.

ასე შორს გავარდნია სახელი ჩვენს ბარაქიანსა და უმშვენიერეს ალაზანს...

მზის ჩასვლის წინ.
ფოტოეტიუდი ბ. დადვაძისა.

გორის თეატრი ქუთაისში

ქუთაისში საგასტროლოდ იმყოფება გ. ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო თეატრი (მთავარი რეჟისორი ლილი იოსელიანი), რომლის სპექტაკლებიც წარმატებით მიმდინარეობს ფილარმონიის საზამთრო თეატრის სცენაზე.

ქუთაისელი მაყურებელი ათი დღის განმავლობაში ნახავს მ. ჯავახიშვილის „არსენა მარადელს“, ო. ბალზაკის „დედინაცვალს“, ლოპე დე ვეგას „ცეკვის მასწავლებელს“, გ. ზაპოლსკაიას „პანი დულსკაიას მორალს“, პ. კორნელის „სიდს“ და სხვ. („კომუნისტის“ კორ.).

ტელემაყურებელს მოსწონს...

თბილისის სატელევიზიო სტუდიის მორიგი ლიტერატურულ-დრამატული დადგმა „ველოსიპედი“ (სცენარის ავტორი ჭ. ამირეჯიბი, რეჟისორი ს. ევლახიშვილი) საინტერესოდ მოგვითხრობს ჩვენი ადამიანების შემოქმედებითს ცხოვრებაზე.

საყურადღებოა, რომ უფროსი თაობის მსახიობების ა. გომელაურის, ა. ომიაძის, თ. თეთრაძის გვერდით ამ სატელევიზიო სპექტაკლში მთავარ როლებში მონაწილეობენ და საინტერესო მხატვრულ სახეებს ქმნიან ახალგაზრდები ბელა მირიანაშვილი, თამაზ ელიავა, ირაკლი უჩანეიშვილი, თამაზ პაიჭაძე... სატელევიზიო სპექტაკლმა ტელემაყურებელთა მოწონება დაიმსახურა.



ჯვიმპარი ლოლ

იუმორისტული მოთხრობა

უკვე ერთი კვირაა ჩვენს სახლში წესრიგიცა და რეჟიმიც აირია. თავის დროზე აღარც ძილია, აღარც ჭამა. ნერვიულობს ტოგო, ნერვიულობ მე, ნერვიულობს მზია. ერთი სიტყვით, აუტანელი განუწყვეტელი ნერვიულობაა მთელ ოჯახში, და მხოლოდ ელიკო, ჩვენი შორეული ნათესავი გოგო, ძველებურად უდარდელი და მხიარულია. ნეტავი იმას! მე კი, წარმოიდგინეთ, საკომისიო მაღაზიებში გავლის თავიც აღარა მაქვს. აბა, ეს საქმეა?! ტოგოს ამბავს ხომ ნურც იკითხავთ: ზის საბრალო ჩაფიქრებული თავის სამუშაო მაგიდასთან, ოხერით სვამს ხუთვარსკვლავიან კონიაკს, შუალედებში ოხერით სწევს პაპიროსს და მთავარი მაინც ის არის, რომ არავინ იცის როდის დასრულდება ეს არანორმალური მდგომარეობა.

თავიდან კი, ვინ იფიქრებდა, რომ იმ ნახევრად კომედიის, ნახევრად დრამის მსგავს და ოდნავ ტრაგედიის მონათესავო ნიმნებით აღუბერილ პიესაზე დაწერილი რეცენზია ამდენ უსიამოვნებას მოუტანდა ჩვენს პატარა ოჯახს.

დიახ, ჩემი ტოგო კრიტიკოსია. საკმაოდ ბუნებრივია, რომ მას დაავალეს რეცენზიის დაწერა, მაგრამ... არა, ის არ იფიქროთ, თქვენი ჭირიმე, თითქოს ჩემი ტოგოსთვის ძნელი იყოს თავისი შეხედულების ქაღალდზე გადატანა საწერ-კალმის საშუალებით. დამერწმუნეთ, ეს იმისთვის ისევე იოლია, როგორც ჩემთვის მაღაზიაში ლამაზი ლარნაკის შერჩევა, მაგრამ... ეჰ, ნუ მეტყვით, და ეს პატარა „ბაგრამ“ ისეთი ხელისშემშლელი ყოფილა პატიოსანი და კეთილი გულის ადამიანისათვის, თქვენს მტერს!

პრემიერა მოიწყო გასულ შაბათს. მთელი ოჯახი დავესწარით წარმოდგენას. კვირას ტოგო მეორეც დაესწრო სპექტაკლს, რადგანაც, იმის აზრით, ერთი ნახვით მხოლოდ შეეყვარება შეიძლება, რაც შეეხება წარმოდგენას, რომელზეც უნდა დაიწეროს რეცენზია, გულდასმით შესწავლას საჭიროებს.

ორშაბათ დილით თოფურცლიანი რეცენზია უკვე მზად გახლდათ. რეცენზია დაწერილი იყო პრინციპული, ობიექტური კრიტიკოსის თვალით, ნახულის შედეგად მიღებული შთაბეჭდილებების საფუძველზე, რომელიც გათვალისწინებული იყო დრამატურგის პიესის ღირსება, რეჟისორის დადგმის ხარისხი, მხატვრის და კომპოზიტორის გაფორმების ნიჭის სიძლიერე და მსახიობთა შესრულების ანალიზი.

იცოცხლეთ, მასალა კრიტიკოსისათვის უზომო იყო და ტოგომაც გაანავარდა კრიტიკოსის მთელი შესაძლებლობანი. ო, რა რეცენზია დაწერა!.. არავინ არ დაზოგა, არავინ!

მე აღტაცებული ვიყავი ჩემი ტოგოს გამბედაობით, რაინდული პირდაპირობით.

— ტოგო! ჩემი აზრით... კარგი ჰონორარი გერგება — გადავუკარი თვალების ეუეუნით.

— ნახევარი შენია, — დამპირდა მაშინვე.

— მამიკო, მე? — აბუზღუნდა მზია.

— ნახევარიც შენია!

— ვაშა! — იკივლა გახარებულმა მზიამ და ცეკვით მაგიდას შემოუარა.

ამ დროს ოთახში შემოვიდა ელიკო. როგორც წესი, შიკრიკის მოვალეობის შესრულების გამო, ტოგო ყოველთვის აჯილდოებს ელიკოს ფულით და ახლაც ამ ჩვეულებას არ გადაუხვია. საოცრად გულუხვია ჩემი ტოგო!

— ელიკო! წაიღე რეცენზიას რედაქციაში და მიიღე...

— აბაზს?! — ნაძალადევად გაეღიმა ელიკოს.

— აბაზს კი არა, კაბას!

— ჩემი ნახევრიდან?! — შეეკითხა მე.

— არა... — თავი გაიქნია ტოგომ.

— გამოდის, რომ ჩემი ნახევრიდან?!— აწუწუნდა მზია.

— საკუთარი რეზერვიდან! მაგრამ ერთი პირობით: კაბა იქნება რეცენზიის გამოქვეყნების მეორე დღეს. თანახმა ხარ, ელიკო?

— თანახმა ვარ! — იყვირა ელიკომ და გაიქცა.

ო, როგორ ტკბილად გვეძინა იმ ღამეს ყველას! გამთენიისას ჩვენი ტკბილი ძილი ტელეფონის ზარის წკრიალმა დაარღვია. როგორ ფიქრობთ, ვინ იქნებოდა? პიესის ავტორი გახლდათ. დრამატურგმა მოგვიკითხა ყველანი. ბოდიში მოიხადა შეწუხებისათვის და ისე, თითქოს ანაზდად, სიცილში შეაპარა ტოგოს, რომ ჩემი ბიძაშვილი პასუხსაგებ პოსტზე დაწინაურესო.

— დაიწყო! — ამოიოხრა ტოგომ და ჩაფიქრდა.

ბევრი იფიქრა, ძალიან ბევრი. ბოლოს ხელი ჩაიქნია და ერთი გვერდი, სადაც გაკრიტიკებული იყო დრამატურგი თავისი პიესიანად, ამოხია რეცენზიიდან.

— მამიკო! — შეწუხდა მზია, — კი, მაგრამ ორი გვერდის ამოხევა რეცენზიიდან ხომ ჰონორარის შემცირებას ნიშნავს?

ცოტას დაკარგვა სჯობს, შვილო, ბევრის დაკარგვას... ხომ გაიგონე, ბიძაშვილი ჰყავს... ერთიც ვნახოთ და... ოხვრით ჩაილაპარაკა ტოგომ, რეცენზია თავიდან გადაბეჭდა და ის იყო თვითონ დააპირა რედაქციაში წასვლა, რომ პიესის დამდგმელმაც დარეკა.

რეჟისორმაც მოგვიკითხა ყველანი, კარგად ყოფნა გვისურვა და მომავალი კვირისთვის მთელი ჩვენი ოჯახი თავისი პატარა შემადგენლობით დაპატიჟა საკუთარ აგარაკზე.

— ჰე-ჰე!.. ჩაიცინა ტოგომ, — მიხვდა ამხანაგი რეჟისორი, რომ დადგმა ჩასაკნატუნებელი ვარიაა არ გახლავთ და ახლა აგარაკზე აპირებს თავისი მარიფათიანი პურ-მარილით ჩემს დანაყრებას?! მაგრამ ნურას უკაცრავად, მე...

— რა, შენ! — გავაწყვეტინე შუა სიტყვაზე. — თავის გამოდება გინდა?! ან რა სინდისით აპირებ მერე ჩასვლას იმ კაცთან აგარაკზე?

— ხომ არ მითქვამს ჩავალ-მეთქი?!

— ტოგო! ნუთუ არ იცი რომ რეჟისორის ვაჟმა ამას წინათ დისერტაცია დაიცვა და, უნდა ითქვას, ბრწყინვალედ!..

— ვაშა შვილს, თუ ასეა, მაგრამ რაც შეეხება მამას... მამა არ გახლავთ ამჯერად ტაშის ღირსი.

— ტოგო! მაგრამ შენ გავიწყდება, რომ ჩვენი მზია... უკვე კარგი ხანია გასათხოვარია.., ის ვაჟი კი უცოლოა! ჯანდაბას იქით ჰონორარი. ამოხე ერთი გვერდიც რეცენზიიდან, გემუდარები!

ტოგო ნერვიულად შეიშმუშნა, მაგრამ ვედრებამ მაინც გასჭრა. რეცენზია კიდევ ერთი გვერდით შემცირდა. ტოგო მიუჯდა ისევ სამუშაო მაგიდას, გადაბეჭდა თავიდან მეორედ შესწორებული რეცენზია და ის იყო რედაქციაში წასასვლელად მოემზადა, ახალგაზრდა ქალი გვესტუმრა. ვიცანი, მსახიობი იყო. ტოგოს დანახვაზე ქალს აეცრემლა ლამაზი შავი თვალები და ერთბაშად აქვითინდა:

— ვიცი... ვიცი, ჯერ ვერ შეეკმენი სრულყოფილი სახე, მაგრამ..,

—რა, მაგრამ! — თავი ვერ შეიკავა ტოგომ. (ის ხომ ისეთი ჭრინციპული!).

— კრიტიკის ღირსი მაშინ ვიქნებოდი, ბატონო ტოგო, ჩემს ნაკლს თავად რომ არ ვგრძნობდე. მე კი გულახდილად ვაღიარებ თქვენთან ამას, ვით აღსარებას. ნუთუ შესაძლებელია თვითკრიტიკის კრიტიკა?!. ვითომ სხვები კი... განა სხვები...

—სხვებს იცავს თავიანთი ტიტული, თქვენ კი მხოლოდ თქვენმა ნიჭმა უნდა დაგიცვათ!

— ტიტული?! — მომხიბლავად გადიკისკისა მსახიობმა, — ბატონო ტოგო, დღევანდელი გაზეთი არ წაგიკითხავთ? ღღეიდან მე დამსახურებული არტისტი ვარ...

— ნუთუ?!

— თქვენ მიგაჩნიათ, რომ ეს დამსახურება... დაუმსახურებელია?!

ტოგო უხერხულად შეიშმუშნა.

— მომილოცეთ, ბატონო ტოგო! კეთილო ბატონო ტოგო, მომილოცეთ!..

ტოგოს ფერი ეცვალა. დაბნეულმა თავი დაუკრა ქალს და ხელი მაგრად ჩამოართვა.

მსახიობი გამარჯვებულის ღიმილით წავიდა ჩვენგან.

საღამოს ჩემი ტოგო ტელეფონით მოიკითხა ორმა სახელოო არტისტმა, სამმა დამსახურებულმა არტისტმა, ამ ტიტულის მისაღებად განწყობილმა ხუთმა კანდიდატმა, თეატრის დირექტორმა, მთავარმა რეჟისორმა და ადმინისტრატორმა.

მოგვიანებით გვესტუმრა მხატვარი. მან ფანქრით დახატული ჩემი ვეებერთელა პორტრეტი მომართვა, ხელზე მაკოცა, გულის ამაჩუყებელი რამდენიმე ქათინაური ჩამჩურჩულა და ქარივით გაქრა.

ღმერთო ჩემო, რა ყოფილა ქალის გული! პატარა, სულ პატარა ყურადღება, პატარა, სულ პატარა სითბო, და... როგორ ფიქრობთ, ამის შემდეგ ტოგოს უფლებას მივცემდით მხატვრის ნამუშევრისათვის ჩრდილი მიეყენებინა?..

საბრალო ტოგო, ის ღამე ქოშინითა და ვიშით გაათენა. გათენდა და საზრუნავი მაინც არ შემოაკლდა. ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა დაიწეროს რეცენზია! სხვა გზა არ იყო, კრიტიკოსის მახვილით ტოგოს უნდა გაელაშქრა ერთადერთი დაუცველი სიმაგრის მიმართ. დაუცველი სიმაგრე გახლდათ კომპოზიტორი. და ტოგოც შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას.

მაგრამ ამ დროს შემოეარდა ოთახში მზია და ისე ტირდა, რომ ტოგო იძულებული იყო შეეწყვიტა წერა.

— მამიკო, მე იმას დავპირდი... ისიც დამპირდა... ის არა, ვინმე სხვა... სხვა ვინმე გააკრიტიკე...

— ვის რას დაპირდი? ვინ რას დაგპირდა? გამაგებინეთ, რა ხდება ჩვენს თავს, მომეცით მუშაობის საშუალება!

ახლო მომავალში ჩემი პროფესორის იუბილეა, მე მინდა ვიმღერო... კომპოზიტორი დამპირდა ახალი სიმღერის დაწერას.

— კი, მაგრამ შენ რომელი მომღერალი ყავხარ, იუბილეზე სიმღერას რომ აპირებ?

— მამიკო! ახლა ყველა მღერის. თვითშემოქმედება ისეთ პატივშია... მე უნდა ვიმღერო! იუბილეზე ქვეყანა იქნება. ყველას ვნახავ, ყველა მნახავს... ის დამპირდა სიმღერის დაწერას, რით ვერ გაგგებენე?..

ვოგო! ჩემო ტოგო, მზია გთხოვს!.. ტოგომ ყუმბარასავით იფეთქა, როგორც საერთოდ პრინციპულ ადამიანებს სჩვევიათ.

—აბა ვინ გავაკრიტიკო, ვინ?..

— ისევ დრამატურგი, — მაშინვე წაუკარნახე.

— ამის ბიძაშვილი დაგავიწყდათ?

— მამიკო, გააკრიტიკე მხატვარი.

— მაგრამ მხატვარმა, — თვალების ბრიალით ვანიშნე მზიას ჩემს პორტრეტზე, — პატივი გვცა... უხერხულია.

— რაც მართალია, მართალია. თავიდათავი მაინც რეჟისორია. პასუხიც იმან აგოს! სულ ამის უხეირო დადგმის ბრალია, რომ პიესა... მამიკო, გააკრიტიკე რეჟისორი...

— რეჟისორს ხომ უცოლო ვაჟი ჰყავს. — ნერვიულობისაგან ტირილი ამივარდა. რომელ ტრაგედიას შეეღრება ჩვენი მდგომარეობა. აბა, თავად განსაჯეთ! მხოლოდ ელიკო არის უდარდელი ჩვენს სახლში. მღერის არხეინად! არა, კაცმა რომ იკითხოს, რა ამღერებს? რას ჭვავს ამისი საქციელი?

— ელიკო! ახლავე მოდი აქ... რა გიხარია ასეთი? არ იღლები მაინც, ამდენს რომ მღერი?

— ახალი კაბა მიხარია...

— ტყუილად გიხარია.

— ხომ დამპირდით... რატომ არ მექნება?.. ხომ დამპირდით... — სახე მოეღრუბლა და თვალები ერთბაშად დაენამა ელიკოს.

— დაგპირდით, მაგრამ... პირობა ხომ გახსოვს? რეცენზია ჯერ არც კი დაწერილა, და აბა როგორ?!

— რასა ბრძანებთ!.. რეცენზია დაიწერა კიდეც და დაბეჭდა კიდეც. აი, ნახეთ გაზეთი... დაბეჭდა, კი!.. — როხროხებს ელიკო და თითით მანიშნებს გაზეთის მესამე გვერდზე.

ვუცქერი გაზეთს და თვალს არ ვუჯერებ.

— ტოგო! — ჩვეულებრივზე მეტად ავნერვიულდი. — ტოგო, რას ნიშნავს ეს?! როგორ გაჩნდა გაზეთში რეცენზია, რომელიც შენ ჯერ არ დაგიწერია?.. აქ ვერაგობას აქვს ადგილი, და მჯერა დამნაშავეებს მწარედ აზღვევინებ!

ტოგომ დახედა გაზეთს, შემომხედა მე, მზიას, მერე ელიკოს და ისეთი სიცილი აუვარდა, შეეშინდი კიდეც.

— რეცენზია ხომ დაწერის უმალვე რედაქციაში გავატანე ელიკოს, ჯერ კიდევ ორშაბათს... არა, ეს როგორ დამავიწყდა?..—ამბობს ტოგო და თავს იგრილებს ჩაციებული ბორჯომით.

ტოგო! კი, მაგრამ იმ ხალხს რა პასუხს აძლევ?

— ორავითარი „მაგრამ“.

მზია კი გულამოსკვნილი ქვითინებს. მას ისე უნდოდა იუბილეზე სიმღერა. რა თქმა უნდა, კომპოზიტორი დაპირებას არ შეუსრულებს... ალბათ, აღარც მხატვარი გამოჩნდება ჩვენთან...

ამბობენ, ორშაბათი კვიმატი დღეაო... ნამდვილად!

ნანა კანდელაკი.

— ვიცი... ვიცი, ჯერ ვერ შეეკმენი სრულყოფილი სახე, მაგრამ...

ნახატი ი. ქოქიაშვილისა.

კვლავ ხვდებიან მეგობრები

ახმეტა, 19 აგვისტო. (საქდესი). აქ სტუმრად იყო გროზნოს ჩაჩნურ-ინგუშური სახელმწიფო დრამატული თეატრი. მან სოფელ დეისში, ჯოყოლოში, ბირკიანში, ომალოში, რომლებიც დასახლებულია ჩაჩანი კოლმეურნეებით, აჩვენა ორი თავისი დადგმა — გ. ნახუცრიშვილისა და ბ. გამრეკელის „მამაცი კიკალა“ (ა. სარაკაევის თარგმანი) და ს. ბადუევის „პატიმატი“. დასკვნითი სპექტაკლი სტუმრ ე ბ მ ა გამართეს კულტურის რაიონულ სახლში.

საინტერესოა ამ მხატვრული კოლექტივის შემოქმედებითი ბიოგრაფია. რუსთაველის სახელობის თეატრმა, რომელსაც გამოჩენილი ქართველი რეჟისორი ნ. ახმეტელი ხელმძღვანელობდა, 1934 წ ლს შეფობა აიღო ამ ჯერ კიდევ ახალგაზრდა შემოქმედებითს კოლექტივზე. თეატრში სამუშაოდ ნიჭიერი ახალგაზრდობის შესარჩევად გროზნოში გაიგზავნა ახალგაზრდა რეჟისორი, ამჟამად საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ა. ჩხარტიშვილი.

ჩაჩნეთ-ინგუშეთის ახალგაზრდობისათვის რუსთაველის სახელობის თეატრთან მოეწყო სპეციალური სტუდია. ორი წლის შემდეგ ქართველი ხელოვნების ოსტატების მიერ აღზრდილი ახალგაზრდა მსახიობები შევიდნენ გროზნოს ჩაჩნურ-ინგუშური დრამატული თეატრის კოლექტივში, რომელიც ამჟამად საბჭოთა კავშირის გმირის ნურადილოვის სახელს ატარებს.

და აი, მეოთხედი საუკუნის შემდეგ, თეატრი საგასტროლოდ ჩამოვიდა საქართველოში. ახმეტის რაიონში მსახიობებმა მიიწვიეს თავიანთი პირველი მასწავლებელი ა. ჩხარტიშვილი, როგორც ძვირფასი სტუმარი. წარმოდგენის დაწყებამდე ა. ჩხარტიშვილი და თეატრის დირექტორი ჰ. შაინოვი გამოვიდნენ მაყურებლების წინაშე და გააცნეს თეატრის ისტორია. სტუმრების ყოველი სპექტაკლი ხალხთა მეგობრობის დღესასწაული იყო. სოფლელი, მაყურებელნი მხურვალედ ხვდებოდნენ ჩრდილოეთკავკასიელ მსახიობთა გამოსვლებს. მათ განსაკუთრებით შეუყვარდათ მსახიობები ა. ადენიევი, ა. ჯაბრაილოვი, ა. ისაევი, ა. ტამუხაჯიევი, ს. ბადუევი, ტ. ალიევი, ხ. მუსაევი და სხვები.

სტუმრად თანასოფლელებთან

საჩხერე. (საკ. კორ.). სოფელ არგვეთის მშრომელებს ესტუმრა მსახიობი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი მედეა ჯაფარიძე. მას თანასოფლელებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყეს. მ. ჯაფარიძის შემოქმედებითს გზაზე ილაპარაკა არგვეთის საშუალო სკოლის დირექტორმა თ. იაშვილმა. არგვეთელმა ქალიშვილმა, თბილისის უცხო ენების ინსტიტუტის სტუდენტმა ლუიზა მაკავარიანმა საკუთარი ლექსი მიუძღვნა.

მ. ჯაფარიძემ თანასოფლელებს მადლობა გადაუხადა გულთბილი შეხვედრისათვის. მოსწავლეების კონცერტით დამთავრდა ეს საინტერესო შეხვედრა.

„ᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ამ ნომრის ავტორები შემოქმედების გზას დაადგნენ მხოლოდ უკანასკნელი ათეული წლის განმავლობაში. პ ი რ ვ ე ლ ხუთწლედებს დაემთხვა მათი ბავშვობის ხანა, ხოლო მათი ხასიათი ყალიბდებოდა ომისა და ომისშემდგომი მშენებლობის წლებში.

მსგავსად საბჭოთა მწერლების უფროსი თაობის შემოქმედებისა, საქართველოს ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებასაც ასაზრდოებს ჩვენი თანამედროვეობა, კომუნიზმის მოგება და დიდი იდეები. სასიხარულოა, რომ ეს ახალგაზრდა — დაე, ჯერ კიდევ არა სრული ხმით ამეტყველებული, მოუმაგრებელი ხმები — ლაპარაკობენ ჩვენს გმირულ ყოფაზე, შესანიშნავ საბჭოთა ადამიანებზე — კომუნიზმის მშენებლებზე“.

ამ სიტყვებით იხსნება „ლიტერატურნაია გრუზიას“ ახალი, მეშვიდე ნომერი, რომლის გამოსვლაც ნამდვილად საყურადღებო მოვლენაა ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში.

„ლიტერატურნაია გრუზიას“ რედაქციამ კარგი ინიციატივა გამოიჩინა, როდესაც გადაწყვიტა რუსი მკითხველისათვის გაეცნო ქართული პროზის, პოეზიისა და ლიტერატურული კრიტიკის ახალი თაობის წარმომადგენლები.

„შემოქმედებითი ახალგაზრდობა“ და „ახალგაზრდები ახალგაზრდების შესახებ“ — ასე შეიძლება დახასიათდეს ᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ამ ნომრის პროფილი. მართალია ᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ აღნიშნულ ნომერში მოთავსებული ყველა ნაწარმოები ვერ დგას სათანადო მხატვრულ დონეზე, მაგრამ მაინც მისასალმებელია ლიტერატურული ორგანოს ამგვარი ფართო ინიციატივა.

შემოქმედებითი ახალგაზრდობის ხმა

პროზის განყოფილებაში მოთავსებულია მერაბ ელიოზაშვილის ნარკვევი, ნაწყვეტი როსტომ ბეჟანიშვილის რომან „სამამულე რქიდან“, როდესმ ჩაჩანიძისა და სოსო კორინთელის მოთხრობები.

პოეზია წარმოდგენილია მუხრან მაჭავარიანის, ნაზი კილასონიას, ნოდარ გურეშიძის, მედეა კალხიძის, მორის ფოცხიშვილის, ჯანსუღ ჩარკვიანის, შოთა ნიშნიანიძის, თამაზ ჭილაძის, ოთარ ჭელიძის, ზურაბ კუბიანიძის, ზაურ ბოლქვაძის, გივი გეგეჭკორის, გიორგი ჩარკვიანის და ნოდარ თარხნიშვილის ლექსებით.

ლიტერატურული კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილებაში ვხვდებით გ ო რ ა მ ასათიანის, გურამ კანკავას, ლევ ანინსკის, ზურაბ ჭუმბურიძის, ბელა ახმადულინას და ლ. დოლიძის წერილებსა და რეცენზიებს.

ახალგაზრდა მსახიობებისა და რეჟისორების აღზრდას, საქართველოს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის მუშაობას მიუძღვნა თავისი წერილი ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა ეთერ გუგუშვილმა.

ᲣᲠᲜᲐᲚᲘ მშვენივრად არის ილუსტრირებული. მასში დაბეჭდილია ახალგაზრდა ქართველი მხატვრების — დინარა ნოდიას, რევაზ თარხან-მოურავის ზურაბ ნიჟარაძის, დიმიტრი ერისთავის, თენგიზ მირზაშვილის გრაფიკული ნამუშევრები.

საათი არ გაჩერებულა...

ჭადრაკის რეზიდენციაში

ბოლო ფილიალი

თუმცა მოსკოვში ვარ გაწერილი, მაგრამ უნდა ვაღიარო — მიხეილ ტალის „ბრალია“, ახალი საჭადრაკო დედაქალაქი რიგა რომ გახდა.

ბალტიისპირეთის ამ ძველ ქალაქში რომ ჩადიხარ, და არა მარტო რიგაში, არამედ რიგის ზღვისპირეთშიც, ეს აშკარად იგრძნობა. ბევრ სტენდზე, კლუბებში ვიტრინებში გამოფენილია მიხეილ ტალის ფოტოპორტრეტები სხვადასხვა სახითა და პოზით. „ეს ჩვენი მიშაა, ეს ჩვენი სიამაყეა“, — ამბობენ რიგელები.

ტალს რიგაში ყველა იცნობს. საკმარისია ქუჩაში გამოჩნდეს, რომ გარს შემოეხვევიან, კითხვებს აყრიან და, თავისთავად იგულისხმება, ავტოგრაფებს სთხოვენ. უკვე სამი თვეა მიხეილ ტალს „ძმიმე ცხოვრება“ აქვს: რიეის ქუჩებში დამშვიდებით გასეირნებას არ ანებებენ. მსოფლიოს ყველა კონტინენტიდან მუდამ მოსდის უამრავი წერილი და დეპეშა, რომლებზეც საჭიროა პასუხის გაცემა.

ფოტორეპორტიორები, კორესპონდენტები ხომ მიშას მშვიდ ძილს არ ანებებენ. ლექციებზე, სეანსებზე, ტურნირებზე მიწევდა მოსდის ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან და საზღვარგარეთის ბევრი ქვეყნიდან. მიშა ტალისაგან მისი თაყვანისმცემლები მოელიან წიგნს ბოტვინიკთან მატჩის შესახებ.



სალო ფლორი

დიახ, „ძმიმე ცხოვრება“ დაუდგა ტალს. პირადად მე არასოდეს არ ვყოფილვარ მსოფლიოს ჩემპიონი, მაგრამ ვფიქრობ, რომ ასეთი „ძმიმე ცხოვრება“ სასიამოვნო უნდა იყოს. თორემ გროსმაისტერები ასე გულმოდგინედ და ჯიუტად არ ეცდებოდნენ მსოფლიოს ჩემპიონად გახდომას.

ამ „ძმიმე ცხოვრებას“ მიშა ტალიც ეჩივევა. მართალია, იგი იმათ რიცხვს როდი ეკუთვნის, ვინც ამირებს დაფნის გვირგვინზე დაისვენოს. დაფნის გვირგვინის პროცედურები მას აშკარად არ მოსწონს. ტალს ყველაზე მეტად ბრძოლა, ჭადრაკი უყვარს. და აი გამოუჩნდნენ ტალს მწვრთნელი, ბევრი მეგობარი, უწინარეს ყოვლისა დედა, რომელიც ეუბნება: მიშა, უნდა დისვენო! თვითონ მიშა კი მწვავედ განიცდის ამას და ჩივის: „საშუალება მომეცით ჭადრაკი ვითამაშო!“ ბოლოს, სამი თვის შესვენების შემდეგ ტალმა კვლავ „მიაღწია“ ჭადრაკს. იგი სათავეში ედგა სსრ კავშირის ნაკრებ გუნდს სსრ კავშირ-გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მატჩში.

შეხვედრა ელგაზე

ჰამბურგი! ევროპის ერთ-ერთი უდიდესი ნავსადგური, ქალაქი, რომლის მოსახლეობა თითქმის ორ მილიონ კაცს შეადგენს. ამ ქალაქს თავისი დიდი საჭადრაკო ტრადიცია აქვს. ჰამბურგში 30 წლის წინათ გაიმართა საჭადრაკო ოლიმპიადა, რომელზეც ბრწყინვალედ გამოიჩინა თავი ა. ალიოხინმა. მაშინ იგი თავისი ძალების გაფურჩქვნის ხანაში იყო. 9 ქულა მოაგროვა ცხრიდან!

ჰამბურგში არსებობს მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი საჭადრაკო კლუბი — იგი 130 წლისაა.

სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს შორის „ელბაზე შეხვედრამ“ დიდი ინტერესი გამოიწვია უმთავრესად იმის გამო, რომ მასში მსოფლიოს ახალი ჩემპიონი მონაწილეობდა. მსოფლიოს ჩემპიონის პარტიებს ყოველთვის აკვირდებიან ჭადრაკის მოყვარულები მთელ მსოფლიოში.

სსრ კავშირის გუნდი რომ გაიმარჯვებდა, ამაში არავის, თვით გერმანელებსაც, ეჭვი არ ეპარებოდათ. საკითხი მხოლოდ ის იყო, თუ რა ანგარიშით. ტალი რომ გაიმარჯვებდა, ესეც არავის ეეჭვებოდა. საკითხი მხოლოდ ის იყო, როგორ და რა სტილით გაიმარჯვებდა. მკითხველს ალბათ ახსოვს ამ მატჩის შედეგი — 51 : 13. საინტერესოა აღინიშნოს, რომ თვითონ გერმანელები (რაღაც „ასტრონომიული მონაცემების“ მიხედვით!) მოელოდნენ დამარცხებას 52 : 12. მათ ერთი ქულით მეტი დააგროვეს, ვიდრე ვარსკვლავებმა უწინასწარმეტყველათ! მდინარე ელბაზე ასეთი განადგურება არ ახსოვს უძველეს გერმანულ კლუბს. მარტო ა. კოტოვმა (ერთი წაგება) და ა. ტოლუშმა (ორი დამარცხება) ოდნავ შეუწყეს ხელი გერმანელთა გუნდს.

მსოფლიოს ჩემპიონმა ბრწყინვალედ ჩაატარა ეს შეჯიბრება. თვითეული მისი პარტია სანჯენებელ თამაშს ჰგავდა. მას იერიში მიჰქონდა, აშამათებდა მოწინააღმდეგეებს. მხოლოდ ერთხელ, პარტიაში ახალგაზრდა გროსმაისტერ ლ. შმიდთან, ტალი კრიზისულ მდგომარეობაში ჩავარდა. მაგრამ კარგად არის ცნობილი, რომ მსოფლიოს ჩემპიონის მოწინააღმდეგეენი ხშირად „თრთიან“ მარტო სახელის წინაშე, და „დამფრთხალმა“ შიდმა ყაიმი შესთავაზა.

ეს იყო ერთადერთი ყაიმი, რომელიც გერმანელებმა გამოჰგლიჯეს ტალს. 7.5 ქულა რვიდან — ეს მიხეილ ტალის როგორც მსოფლიოს ახალი საჭადრაკო პრემიერის პირველი გამოსვლის ბრწყინვალე შედეგია! ტალისაგან კარგი მაგალითი აიღეს ტიგრან პეტროსიანმა და ლევ პოლუგაევსკიმ, რომლებმაც ჩვენს გუნდს 6,5 ქულა შესძინეს თვითეულმა შვიდი შესაძლებლიდან.

გამოსათხოვარ ვახშამზე გერმანელი მოჭადრაკეები უნდილად იღიმებოდნენ, მაგრამ თავაზიანად იხდიდნენ მადლობას ეიზბისათვის, მეგობრული შეხვედრისათვის და უმთავრესად კარგი წვრთნისა და გაკვეთილისათვის.

ხომალდიდან მეჯლისზე...

დამთავრდა თუ არა მატჩი ჰამბურგში, ჩვენი გუნდი მოსკოვში დაბრუნდა (შინაც არის მნიშვნელოვანი საქმეები!). მხოლოდ ტიგრან პეტროსიანსა და ეფიმ გელერს მოუხდათ 55 წუთი ფრენა და დანის დედაქალაქ კოპენჰაგენში დაშვება. იქ დაიწყო დიდი საჭადრაკო მოაზროვნის ა. ნიმცოვიჩის ხსოვნის მატჩი. ა. ნიმცოვიჩი წარმოშობით რიგელი იყო. ცხოვრობდა კოპენჰაგენში, სადაც გარდაიცვალა 25 წლის წინათ.

კოპენჰაგენში პეტროსიანსა და გელერს საქმე აქვთ შვედ გროსმაისტერ შალბერგთან და უწინარეს ყოვლისა დანელ გროსმაისტერ ბ. ლარსენთან, რომელმაც პირველი ოთხი პარტია მოიგო და ლიდერობა ჩაიგდო ხელში. მაგრამ მეხუთე ტურში ტიგრან პეტროსიანმა გადამწყვეტი პარტია მოუგო ლარსენს და ამრიგად სერიოზული განაცხადი გააკეთა პირველ პრიზზე.

შორეულ არგენტინაში...

წარმტაცი იყო ბრძოლა პირველი ადგილისათვის ბუენოს-აირესის დიდ ტურნირში. სსრ კავშირის ჩემპიონმა ნაიფორხილა და წაადო ტურნირის აუტსაიდერთან გ. ვეიდთან (ეს ის „სახელგანთქმული“ ვეიდია, რომელმაც მოსკოვში საშუდამოდ „ისახელა თავი“ მოსკოველ პიონერებთან თამაშის ერთდროულ სეანსში: ვეიდმა 10 პარტია ყაიმით დაამთავრა, 20 (ოცი!) წაადო და... არც ერთი არ მოუგია!).

თითქოს ბუენოს-აირესში ასი პროცენტით ზეიმობდა ს. რეშევსკი. მაგრამ ვ. კორჩნოი ბრწყინვალე ფინიშით, „უკანასკნელ სწორ ხაზზე“ დაეწია ამერიკელ გროსმაისტერს. მათ პირველი და მეორე ადგილები გაიყვეს ამ ტურნირში, რომელშიც 14 გროსმაისტერი თამაშობდა!

რეშევსკიმ ცხადყო, რომ მას ჯერ კიდევ უნდა გაეწოს ანგარიში, თუმცა 50 წლისაა. ვ. კორჩნოიმ დაადასტურა, რომ აშკარად წინ მიდის და რომ სურს „შეაწუხოს“ ისინი, ვინც მსოფლიოს საჭადრაკო ტახტზე ზის.

მარკ ტაიმანოვმა კორჩნოიზე უარესად, მაგრამ სავსებით კარგად ითამაშა. მან გაიყო მე-4-მე-7 ადგილები. გასაგებია, რომ არგენტინელებმა ერთბაშად როდი გამოუშვეს ჩვენი გროსმაისტერები შინ. რამდენიმე დღე დასვენება და... კვლავ ბრძოლა. სანტა-ფეში გამართულ მცირე ტურნირში გამარჯვება მოიპოვეს მ. ტაიმანოვმა და ლ. საბომ. მესამე იყო იუგოსლავიის ჩემპიონი ს. გლიგორიჩი. ვ. კორჩნოიმ, რომელიც ბუენოს-აირესის შემდეგ დაღლილი იყო, მხოლოდ მეოთხე ადგილი დაიკავა. „ასე უხერხულია შინ წასვლა“ — გადაწყვიტა კორჩნოიმ. არგენტინაში გამართულ მესამე ტურნირში — ქალაქ კორდობაში კორჩნოიმ „შური იძია“ და პირველი ადგილი დაიკავა. მეორე ადგილზე გამოვიდა მ. ტაიმანოვი. ამრიგად, ჩვენი ორი გროსმაისტერის გასტროლები არგენტინაში ბრწყინვალედ დამთავრდა.

აღსანიშნავია, რომ კორჩნოისა და ტაიმანოვის არყოფნამ ხელი ვერ შეუშალა ლენინგრადის გუნდს დაემარცხებინა ძალიან ძლიერი მოწინააღმდეგე — უნგრეთის გუნდი (გ. ბარცას მეთაურობით) ანგარიშით 20 : 12.

ბუენოს-აირესის ტურნირით ძალიან უკმაყოფილო დარჩა ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონი ბობი ფიშერი. მე უკვე ვუამბე „კომუნისტის“ მკითხველებს, რომ ბობი ცრემლს ვერ იკავებს, როცა წააგებს. და აი, არგენტინაში ფიშერი ძალიან გალახეს. ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონმა შესაძლო ქულების 50 პროცენტიც ვერ დააგროვა და ბუენოს-აირესი აშკარად ნამტირალევმა დატოვა. ერთ-ერთმა გროსმაისტერმა დამშვიდობებისას ნახევრადხუმრობით უთხრა 17 წლის ფიშერს: „ბობი, შენ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ, ჯერ კიდევ უნდა ისწავლო!“. გაჯავრებულმა ბობიმ ბუენოს-აირესი დატოვა მუქარით: „არა უშავს რა, შემდეგში ყველას „გიჩვენებთო“!

რა ელით ჩვენს გულშემატკივრებს?

მომავალ საჭადრაკო ბრძოლებზე თუ ვილაპარაკებთ, უწინარეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ საჭადრაკო ოლიმპიადა ლიიპციგში მიმდინარე წლის ოქტომბერში. ლაიპციგში გუნდების სარეკორდო რაოდენობას მოელიან. მართალია, უკვე დღეს ზოგიერთი მონაწილე „კეკლუცობს“: მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატებიდან იუწყებიან, რომ შეერთებული შტატების გუნდის მონაწილეობა ძალიან საეჭვოა, ვინაიდან ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი არ ურჩევს ამერიკელ მოჭადრაკეებს წავიდნენ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. რა გაეწყობა. სამწუხაროა, თუ ლაიპციგში არ იქნება ამერიკის შეერთებული შტატების გუნდი, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესია. მაგრამ ამერიკელმა მოჭადრაკეებმა კიდევაც რომ დაიჯერონ სახელმწიფო დეპარტამენტის რჩევა, ეს მაინც ვერ გაფუჭებს საჭადრაკო ღღესასწაულს, საჭადრაკო ფესტივალს ლაიპციგში.

ამ დღეებში ჩვენში იწყება სსრ კავშირის XXVIII ჩემპიონატის ნახევარფინალები. როსტოვში მონაწილეთა შორის სამი გროსმაისტერია: ბ. სპასკი, ი. ბოლესლავსკი, ი. ბონდარევსკი. ოდესაში თამაშობენ დ. ბრონშტეინი, ი. ავერბახი და ა. კოტოვი. ვილნიუსის ჯგუფში მონაწილეთა შორის არიან ლ. პოლუგაევსკი, ა. ტოლუში და... არ გაგიკვირდეთ... ს. ფლორი. ხომ არ შეიძლება სულ მუდამ სხვებზე წერდე, საჭიროა თვითონაც სინჯო ჭადრაკის თამაში, თუმცა ეს უფრო ძნელია, ვიდრე სხვების გაკრიტიკება!

როგორც კი დამთავრდება ნახევარფინალები, ი. ავერბახი და ბაქოელი ოსტატი ვ. ბაგიროვი გაემგზავრებიან ძალიან შორს — ინდონეზიაში და შემდეგ კიდევ უფრო შორს — ავსტრალიაში.

ჩემი მცირე მიმოხილვა სრული არ იქნებოდა, რომ არ შევხებოდი ერთ საკითხს, რომელიც ყველა მოჭადრაკეს პირზე აკერია: როგორ არის საქმე ტალ-ბოტვინიკის მატჩ-რევანშის მხრივ? საკითხი კვლავ გაურკვეველია. ფიდეს კონგრესიც ლაიპციგში გაიმართება. კონგრესამდე ბოტვინიკმა აუცილებლად უნდა განაცხადოს, სურს თუ არა ისარგებლოს თავისი უფლებით გამოიწვიოს ტალი მატჩ-რევანშზე. ჯერჯერობით ბოტვინიკი... დუმს. როგორც კი ბოტვინიკი „ალაპარაკდება“, მე მაშინვე ვაცნობებ ამას გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებს.

ეს არის ყველაფერი, რაც მინდოდა გამეზიარებინა ჩემი ქართველი მკითხველებისათვის.

ახლა რომის ოლიმპიური ასპარეზობის ხანა დადგა. თვალყური ადევნეთ რომს, წარმატება უსურვეთ ჩვენს ოლიმპიელებს (ვფიქრობთ, ყველაფერი რიგზე იქნება), მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ მიუხედავად რომისა, ჭადრაკის ბევრი საათი არ გაჩერებულა არც საერთაშორისო და არც საშინაო საჭადრაკო ასპარეზზე.

სალო ფლორი.

მზესუმზირასთან.

ფოტოეტიუდი შ. ჩხეტიანისა.

ასე იქცევიან საგჭოთა ადამიანები

★ ★

გადარჩენა

კოკისპირული წვიმის შემდეგ მცხუნვარე მზე გამოვიდა 10 აგვისტოს. შიგში ბევრი დამსვენებელი მდინარე ჰანჭახის ნაპირას ერთობოდა. უეცრად მდინარემ ნაპირიდან ხუთი წლის ბიჭუნა რამაზ ბორისის-ძე ფრუიძე გაიტაცა. იქვე მყოფი მისი დეიდა ნაზი ხუჯაძე წყალში შეეჭრა და ცდილობდა ბავშვის გადარჩენას, მაგრამ აქაფებულმა მდინარემ ისიც გაიტაცა. საზარელი სურათი იყო. აზვირთებულ მდინარეში შესვლას ვერავინ ბედავდა.

ეს ამბავი შორიდან შენიშნა მიხეილ გაბრიელის-ძე ხახიაშვილმა. იგი გაექანა წყალწაღებული ბავშვისაკენ, ტანისამოსით შეეჭრა წყალში, საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდო და ბავშვი ნაპირზე გამოიყვანა. ამის შემდეგ ხახიაშვილი ნაზი ხუჯაძის საშველად შეეჭრა და ისიც იხსნა აქაფებული მდინარის ტალღებიდან.

რამაზ ფრუიძეს და ნაზი ხუჯაძეს სასწრაფო საექიმო დახმარება გაუწიეს წყლის ნაპირას მყოფმა დამსვენებელმა ექიმებმა.

ხახიაშვილმა შოვის კურორტის იდმინისტრაციისა და დამსვენებლების მადლობა დაიმსახურა.

Ш. ჯანუაშვილი.

გრძოლა აფთართან

აფთარი მესხეთის ფაუნის იშვიათი წარმომადგენელია. ეს მტაცებელი უმეტესად აჭარა-იმერეთის მთებიდან გადმოიხვეწება ხოლმე. იგი არ ინდობს ადამიანს და მათ შორის ორთა ბრძოლა ხშირად მხეცის გამარჯვებით მთავრდება.

ამას წინათ ადიგენის რაიონის სოფელ არლის კოლმეურნეობის წევრები სათიბ ადგილ ხონაში თივას აბულულებდნენ. უეცად გამოჩნდა აფთარი, რომელმაც ელვის სისწრაფით მიაშურა ახალგაზრდა კოლმეურნეს. ნადირაძეს. წამიერი დაყოვნება, და ადამიანის ბედიც გადაწყდებოდა. მაგრამ მამაცი ახალგაზრდა არ დაიბნა, მოიმარჯვა ფიწალი და მოხერხებულად დასცა მხეცს. აფთარს ხერხემალი გადაუტყდა და წინააღმდეგობის უნარი დაკარგა.

მოკლული აფთარი 40 კილოგრამს იწონიდა. ნანადირევის ტყავი ახალგაზრდა კოლმეურნემ მონადირეთა კავშირს ჩაბარა.

ჰ. ხვადაძე.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ბალეტის ახალგაზრდა სოლისტი ლ. ბურავლოვა მორიგი რეპეტიციის წინ სარკეებიან დარბაზში.

ფოტო ბ. დადვაძისა.

რომის საჭიდაო ხალიჩაზე

რომის ოლიმპიურ ასპარეზობებში მონაწილე ყველა სახელმწიფომ უკვე დააკომპლექტა მოჭიდავეთა ეროვნული გუნდები. უცხოეთის პრესაში სპორტული მიმოხილველები საბჭოთა მოჭიდავეებს უძლიერესად აღიარებენ და წინასწარ მიაკუთვნებენ ჩემპიონობას. მაგრამ სწორი არ იქნება, თუ არ შევაფასებთ ჩვენს მოწინააღმდეგეებს, რომლებიც ყოველდღიურად იმაღლებენ სპორტულ ოსტატობას. რომის საჭიდაო ხალიჩაზე საბჭოთა მოჭიდავეების მთავარი კონკურენტები თურქეთის, ირანის, ბულგარეთისა და იაპონიის გუნდები იქნებიან.

თურქეთში თავისუფალ ჭიდაობას სპორტის ნომერ პირველ სახეობას უწოდებენ. ამ ქვეყნის მოჭიდავეებს არაერთხელ უსახელებიათ თავი მსოფლიო პირველობებზე. 1956 წელს მელბურნში თავისუფალი სტილის თურქმა მოჭიდავეებმა მ. დაღისტანულემ, ხ. ყაფლანმა და კლასიკური სტილის მოჭიდავემ მ. ბაიარაკმა ოლიმპიური ოქროს მედლები მოიპოვეს.

უკანასკნელ ხანებში თავისუფალი სტილის თურქი მოჭიდავეები ევროპის ყველა უძლიერეს გუნდს შეხვდნენ. ისინი ოთხჯერ შეეკინენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სპორტსმენებს და ოთხჯერვე გამარჯვება თურქებს დარჩათ. მათი საერთო ანგარიშია 77:7. გამანადგურებელი ანგარიშით (8 : 0) დაამარცხეს თურქებმა ფინეთის ნაკრები. ხოლო ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს უნგრეთის ნაკრებს მოუგეს ანგარიშით 7,5 : 0,5. ნეაპოლში გამართულ თურქეთის, იტალიის, საფრანგეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოჭიდავეთა საერთაშორისო შეჯიბრებაში თურქეთის გუნდმა თვითეულ მეტოქეზე გაიმარჯვა მშრალი ანგარიშით 8 : 0.

შარშან ირანში გაიმართა მსოფლიო პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. პირველი ადგილი საბჭოთა გუნდმა მოიპოვა, ხოლო მეორე საპრიზო ადგილი თურქეთისამ. ორმა თურქმა მოჭიდავემ — აკბასმა და დაღისტანულემ ოქროს მედლები მოიპოვეს. ხოლო მძიმე წონის ხ. ყაფლანი ვერცხლის მედლით დაკმაყოფილდა. გასული წლის დამლევს ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების ასპარეზობაზე თურქეთმა ჭიდაობაში მონაწილეობა მიიღო მეორე ნაკრები გუნდიდ (გარდა ხ. ყაფლანისა) და მაინც პირველი ადგილი მოიპოვა.

თურქეთში კლასიკური ჭიდაობა ნაკლებად პოპულარულია, ვიდრე თავისუფალი, მაგრამ ისინი მსოფლიო ასპარეზზე ჩვენი ქვეყნის მოჭიდავეების შემდეგ ერთ-ერთი უძლიერესნი არიან. რომის ოლიმპიურ ასპარეზობაში მონაწილეობისათვის მზადებასთან დაკავშირებით თავისუფალი სტილის თურქმა მოჭიდავეებმა მონაწილეობა მიიღეს რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში. ბალკანეთის ქვეყნების ჩემპიონატში გასულ წელს მათ ოქროს ოთხი მედალი მოიპოვეს. შარშან გაიმართა ოთხი ქვეყნის — საფრანგეთის, იტალიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის და თურქეთის მოჭიდავეთა ტურნირი აქაც გამარჯვებული თურქი მოჭიდავეები გამოვიდნენ. ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების ასპარეზობაში თურქმა მოჭიდავეებმა ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწიეს. აქ მათ დაისაკუთრეს ოქროს ოთხი და ვერცხლის ორი მედალი.

როგორც თურქეთი, ისე **ირანიც** ჭიდაობის კლასიკური ქვეყანაა. ირანელი მოჭიდავეებიც მთელი სერიოზულობით ემზადებოდნენ რომის ოლიმპიური ასპარეზობისათვის. შარშან სტამბოლში ერთმანეთს შეხვდნენ თურქეთისა და ირანის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ეროვნული ნაკრებები. ეს შეხვედრა დამთავრდა თურქების გამარჯვებით ანგარიშით 5:3, ხოლო შემდეგ ირანის ეროვნულმა ნაკრებმა დამაჯერებელი ანგარიშით (7 : 1) დაამარცხა თურქეთის მეორე ნაკრები.

უკანასკნელ ხანებში **ბულგარელი** სპორტსმენები საშიში მეტოქეები გახდნენ მსოფლიოს უძლიერესი მოჭიდავეებისათვის. მელბურნის ოლიმპიურ ასპარეზობაში ორივე სახეობაში მათ ოთხი მედალი მოიპოვეს, ხოლო საშუალო წონის ბულგარელი ნ. ნიკოლოვი პირველ ადგილზე გამოვიდა. მელბურნის შემდეგ დიდად ამაღლდა ბულგარელი მოჭიდავეების კლასი. თავისუფალ ჭიდაობაში შარშან ბულგარელებმა საუკეთესო შედეგს მიაღწიეს საერთაშორისო ტურნირში უნგრელებთან და რუმინელებთან. ისინი აგრეთვე შეხვდნენ ირანის ეროვნულ ნაკრებს, ამ გუნდების შეკრებება დამთავრდა ფრედ — 4 : 4. კლასიკური სტილის ირანელ მოჭიდავეებთან ბულგარელები დამარცხდნენ ანგარიშით 3 : 5. საერთაშორისო ტურნირში კლასიკურ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ბულგარელი, ფინელი და იტალიელი მოჭიდავეები, ბულგარელები პირველ ადგილზე გამოვიდნენ.

ბალკანეთის ქვეყნების ტურნირში თავისუფალი და კლასიკური სტილის ბულგარელმა მოჭიდავეებმა მეორე ადგილი დაიკავეს. ამ ტურნირის ჩემპიონები გახდნენ თავისუფალ სტილში ს. კოლევი, ნ. სტანჩევი, კლასიკურში კი დ. დობრევი, დ. პეტროვი და პ. სირაკოვი. აღსანიშნავია, რომ პ. სირაკოვმა დაამარცხა მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მოჭიდავე მძიმე წონის თურქი ხ. ყაფლანი. მსოფლიო პირველობაზე თეირანში ბულგარელმა თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა ოქროს ერთი და ვერცხლის სამი მედალი მოიპოვეს.

ამ ზაფხულს გამართულ ბალკანეთის ქვეყნების ჩემპიონატში ბულგარელებმა ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწიეს. ამ ტრადიციულ ტურნირში გამარჯვებულნი ყოველთვის თურქეთის ორივე სტილის მოჭიდავეები გამოდიოდნენ. ამჯერად კი ბულგარელებმა პირველი ადგილი და ოქროს თორმეტი მედალი მოიპოვეს.

იაპონელი მოჭიდავეები ბრწყინვალე ტექნიკის მფლობელნი არიან. შარშან თავისუფალ ჭიდაობაში აზიის ქვეყნებს მესამე ასპარეზობაზე მათ პირველი ადგილი დაიკავეს. შემდეგ ისინი გაემგზავრნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც გამართეს ხუთი შეხვედრა. აქედან საკლუბო გუნდებს მოუგეს სამი მატჩი, კოლეჯების ნაკრებთან ფრედ (4 : 4) დაამთავრეს, ხოლო ნიუ-იორკის ნაკრებთან დამარცხება განიცადეს. წელს იაპონიაში თავისუფალი სტილის საბჭოთა მოჭიდავეებმა ოთხი შეხვედრა მოაწყეს. ოთხივე ჩვენი ქვეყნის ნაკრების გამარჯვებით დამთავრდა (4,5 : 3,5; 5,5 : 2,5; 6,5 : 1,5; 6 : 2). იაპონელი მოჭიდავეებიდან გამოირჩევიან მჰატე წონის ასაი, ქვემსუბუქი წონის აჯიკატა და ქვესაშუალო წონის კანეკო.

ოლიმპიურ ასპარეზობაში მონაწილე ქვეყნებიდან აღსანიშნავი არიან შვეიცარია და ამერიკის შეერთებული შტატების მოჭიდავეები.

ოლიმპიური ქრონიკა

◆ **რუსეთი** ოლიმპიური ასპარეზობის არენაზე პირველად 1908 წელს გამოვიდა. მაშინ ლონდონში მეოთხე ოლიმპიადაზე რუსმა სპორტსმენებმა ერთი ოქროს და 2 ვერცხლის მედალი მოიპოვეს.

◆ **საბჭოთა** სპორტსმენების მონაწილეობას ოლიმპიურ შეჯიბრებაში დასაბამი 1952 წლიდან მიეცა. პირველ წელსვე ჰელსინკში ჩვენმა სპორტსმენებმა ამერიკელებთან ერთად ქულათა თანაბარი რაოდენობა შეაგროვეს და პირველი ადგილი გაიყვეს.

◆ **ოფიციალური** ოლიმპიური ალამი, რომელიც ოთხი წელია ინახება მელბურნში, 17 აგვისტოს თვითმფრინავით იტალიის დედაქალაქში ჩაიტანეს. 25 აგვისტოს ამ ალამს ააფრიალებენ რომის ოლიმპიურ სტადიონზე.

◆ **XVII** ოლიმპიურ ასპარეზობაზე ერთ-ერთი მასობრივი შეჯიბრება კრიგი იქნება. ამ შეხვედრებში გამოვა 47 ქვეყნის 350 მოკრივე, რაც სარეკორდო რიცხვია. მთლიანი შემადგენლობით გუნდებს გამოიყვანს ათი ქვეყანა.

◆ **ფეხბურთელთა** 16 კოლექტივი მიიღებს მონაწილეობას ოლიმპიურ შეხვედრებში. 26 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე მოიწყობა წინასწარი და მეოთხედფინალური მატჩები, 5 და 6 სექტემბერს — ნახევარფინალები, 10 სექტემბერს — ფინალი.

მინსკში შეჯიბრებაზე

მინსკი. 20 აგვისტო. (სპეც. კორ.). ხვალ მინსკში საზეიმოდ გაიხსნება მოსწავლეთა სპარტაკიადა, რომელშიც სხვადასხვა რესპუბლიკის წარმომადგენლებთან ერთად გამოვლენ საქართველოს სპორტსმენები.

მართალია, სპარტაკიადის ალამი საზეიმოდ ჯერ არ აღუმართავთ, მაგრამ სპორტის ზოგიერთ სახეობაში, კერძოდ ფეხბურთსა და ჩოგბურთში შეჯიბრება დაიწყო.

საქართველოს ჩოგბურთელი გოგონები, რომლებმაც თავიანთ ქვეჯგუფში მოუგეს აზერბაიჯანის გუნდს 4:1, ლიტველ სპორტსმენებს 7:0 და წაადგეს ესტონეთის გუნდთან 3:4, ფინალში გავიდნენ. ფინალურ ჯგუფში მოხვდნენ აგრეთვე ბელორუსიის, ესტონეთის, ლატვიის ჩოგბურთელები. ფინალის პირველ მატჩში ჩვენმა გოგონებმა, როდესაც ანგარიში იყო 3:3, შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა და დაამარცხეს ლატვიის გუნდი 4:3. გადამწყვეტი პარტია მოიგეს ა. ივანოვამ და ნ. თუხარელმა.

წარმატებით გამოდიან საქართველოს ჭაბუკი ჩოგბურთელები. ქვეჯგუფში მათ დაამარცხეს ლიტვის, ლატვიისა და აზერბაიჯანის გუნდები თანაბარი ანგარიშით 7:0 და ფინალში გავიდნენ. მათთან ერთად დასკვნითს ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს ბელორუსიის, ლატვიისა და ესტონეთის ჭაბუკ ჩოგბურთელთა კოლექტივებმა.

ფინალში უპირადღებას იპყრობდა ესტონეთისა და საქართველოს გუნდების შეხვედრა, რომელიც დამთავრდა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთა გამარჯვებით ანგარიშით 5:2.

მიმდინარეობს ფეხბურთელთა შეჯიბრება. საქართველოს ფეხბურთელებმა ანგარიშით 1:0 მოუგეს ლატვიის გუნდს.

ამინდი

21 აგვისტოს საღამოდან უახლოესი 2-3 დღის განმავლობაში დასავლეთ საქართველოში და აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ რაიონებში მოსალოდნელია წვიმა, ალგალაგ მნიშვნელოვანი. ელჭექი, დღის ტემპერატურის დაწევა 8-12 გრადუსით. მდინარე მტკვრის ხეობაში დასავლეთის ძლიერი ქარი.

თბილისის სტუმრები

საქართველოს დედაქალაქის მშრომელები დიდი გულთადობით შეხვდნენ ვიეტნამ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაციას.

მეგობარი ვიეტნამელი ხალხის წარმომადგენლები ორ დღეს ეცნობოდნენ თბილისის ცხოვრებას.

გაუზიარა რა მასპინძლებს თავისი შთაბეჭდილებანი რესპუბლიკის დედაქალაქში ყოფნის შესახებ, დელეგაციის მეთაურმა ამბ. ტონ კუან ფიეტმა თქვა:

— ჩვენ ძლიერ გაგვახარა იმან, რომ შესაძლებლობა მოგვეცა თბილისში ჩამოვსულიყავით. მე თქვენში სტუმრად ვიყავი ექვსი წლის წინათ. ამ მოკლე ვადაში თბილისი კიდევ უფრო გალამაზებულა და მიმზიდველი გამხდარა.

ამბ. ტონ კუან ფიეტმა თბილისელებს ახალ-ახალი წარმატებანი უსურვა დიადი შვიდწლიანი გეგმის განხორციელებაში.

19 აგვისტოს საღამოს ძვირფასი სტუმრები მათუმს წავიდნენ.

ტრავერსი წარმატებით გრძელდება

საქართველოს ა. ჯაფარიძის სახელობის ალკური კლუბის მალლივი ექსკურსიების უფროსის მოადგილე **გ. ყალაბეგიშვილი** ოფიციალურ ინფორმაციას, რომ ექსკურსიების მოიერიმე ჯგუფი ფორეულ კამირის მთიანეთზე წარმატებით განაგრძობს ზულუმარიოსა და ომიერალაის ქედების მწვერვალთა ტრავერსს.

საქართველოს მთამსვლელებმა განსაკუთრებული წარმატება მოიკოვეს 19 აგვისტოს. ამ დღეს მათ დაიპყრეს კიდევ ორი მწვერვალი: რაზდელნის პიკი (6.140 მეტრი ზღვის დონიდან) და ძერჟინსკის პიკი, რომლის სიმაღლე 6.713 მეტრია.

მიუხედავად დიდი სიმაღლის და ძმიმე პირობებისა, ტრავერსი სწრაფი ტემპით ხორციელდება.

ტრავერსი გრძელდება. (საქმესი).

დაე გაიმარჯვოს ძლიერმა

დღეს „ბურევესტნიკის“ სტადიონზე თბილისის „დინამოს“ ოსტატი ფეხბურთელთა გუნდი შეხვდება ბრაზილიის ქალაქ სან-სალვადორის „ბაიას“ კოლექტივს.

წელს „ბაიას“ კლუბმა უკვე ორი მატჩი გამართა — ერთი შეხვედრა მან შოგო მოსკოვში არმიის ცენტრალური სპორტო კლუბის ფეხბურთელებთან 2 : 1, ხოლო კიევის „დინამოსთან“ შეხვედრაზე დამარცხება განიცადა საკმაოდ დიდი ანგარიშით 1 : 4.

რატომ მოხდა, რომ კიევში „ბაიას“ კლუბმა დამარცხება განიცადა? როგორც გაზეთი „კომსომოლსკაია პრავდა“ იუწყება, ბრაზილიელი ფეხბურთელები თვითმფრინავიდან პირდაპირ სტადიონზე მივიდნენ, მათ საკუთარი ბეგები არ ჰქონდათ